ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“
+„რიშელიე“
8 ლარი
30 მაისიდან
13 ივნისამდე




პარასკევი, 10 ივნისი, 2011 | №136 (5517) | ფასი: 30 თეთრი

# გუბაზ სანიკიძე: დმანისის ტყიდან ბადრი ბიწაძე მე გამოვიყვანე



გვ.3

რატომ დარჩა ბოლნისში ნინო ბურჯანაძის მეუღლე





## ოპოზიციურ „რვიანში“ განხეთქილებაა

გვ.5



## ბალათურია სახალხო დამცველის უფლებების გაზრდას მოითხოვს

გვ.5

გვ.2

## ხელისუფლება აგონიაშია

მთავრობის გამსტუმრებელი არავინ ჩანს



გვ.3

## ვანო მერაბიშვილს ხელი არავინ ჩამოართვას!

ლეიბორისტებმა შსს-ს წინ აქცია გამართეს





გვ.4

## ჩეჩნები ოქრუაშვილს აფრთხილებენ

პანკისის ხეობაში არავითარი პანიკა არ არის

## ნინო ბურჯანაძე: ხელისუფლება ტერორისტულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა

გვ.2

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 საქართველოს სომხეთის კათოლიკოსი გარეგინ მეორე ეწვევა

10 სააკაშვილმა არჩევნების გაყალბება უკვე დაიწყო

6 ბურჯანაძე პოლიტიკური სივრციდან უნდა გაირიყოს!

2 ბარო ახალაია გენერალ დევიდ პეტრეუსს შეხვდა

# ხელისუფლება აგონიაშია

## მთავრობის გამსტუმრებელი არავინ ჩანს

ნონა ცაბა ე

**ინტერვიუ ექსპერტ-კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან**

***— ბატონო პაატა, ის, რაც მედიაპალიტრის ირგვლივ ხდება, საზოგადოებამ შეაფასა, როგორც თავისუფალ მედიაზე ზეწოლის მცდელობა, რადგან მედიაპალიტრა ერთ-ერთი მათგანი იყო, რომელმაც ობიექტურად გააშუქა 26 მაისის მოვლენები. თქვენ როგორ მიიღეთ ეს ყველაფერი, როგორია თქვენი შეფასებები?***

— ჩემი შეფასება არის ზუსტად ისეთი, როგორიც მქონდა შევარდნაძის დროს, რევოლუციის წინ როდესაც შევარდნაძის სამსახურები შევიდნენ „რუსთავი 2“-ში. დაახლოებით იგივე სიტუაციაა. თუმცა, შევარდნაძის ხელისუფლებას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, ასეთი რამ განეხორციელებინა, მაგრამ, მთელი დღევანდელი ხელისუფლება, რომელიც მაშინ რევოლუციურ საზოგადოებას წარმოადგენდა, იდგა „რუსთავი 2“-ის დასაცავად, რადგან ეს შეფასდა, როგორც ხელისუფლების მხრიდან თავისუფალ მედიაზე ზეწოლის ფორმა და სწორი იყო, როგორც მაშინ მე ვიყავი დარწმუნებული, რომ მართალი ვიყავი და ვიდექი „რუსთავი 2“-ის გვერდში. დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ მედიაპალიტრის წინააღმდეგ, 26 მაისის შემდეგ ამ ტიპის ტოტალური შემოწმების წამოწყებას აშკარად პოლიტიკური სარჩული აქვს. შეიძლება, ამ ფაქტს სამართლებრივად ჰქონდეს რაღაც გამართლება, მაგრამ მოტივაცია წმინდა პოლიტიკურია. როგორც ჩანს, მათი მიზანია, მოხდეს მედიაპალიტრაში გარკვეული დარღვევების აღმოჩენა, რათა მიზეზი მიეცეთ მისი ან დაშანტაჟების, ან დახურვის და, რაც მთავარია, დააშინონ სხვა მედიასაშუალებები, რათა დაფიქრდნენ, როცა აშუქებენ ობიექტურად საქართველოში არსებულ ვითარებას.

***— მოტივი ყოველთვის ერთი და იგივე აქვთ ხოლმე, რომ ვითომდა საგადასახადო კუთხით შედიან...***

— ეს გავლილი გვაქვს ჩვენ და გავლილი აქვს ხელისუფლებასაც, როცა იყვნენ ოპოზიციაში. ასე რომ, ახალი არაფერი არ არის. ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, სააკაშვილი რაც უფრო იზრდება, მით უფრო ემსგავსება საბჭოთა კავშირის ისეთ გადმონაშთს, როგორიც არის შევარდნაძე.

***— ტვ-25 დახურეს ბათუმში...***

— დიახ, 26 მაისის შემდეგ ეს არხიც დახურეს და გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ გაიხსნა. ფაქტია, რომ ესეც დაიხურა სწორედ პოლიტიკური მოტივით.

***— როგორ ფიქრობთ, საზოგადოების პროტესტი შეაკავებს ხელისუფლებას? საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა გუშინ ამ ფაქტს...***

— დღეს ხელისუფლება აგონიაშია. ჩვენი უბედურება ისაა, რომ ხელისუფლების გამსტუმრებელი საზოგადოება არ არის ძლიერი, თორემ ხელისუფლება აგონიაშია და ეს დაახლოებით ჰგავს იმას, რომ უნიათო მკვლელი ვერ კლავს თავის მსხვერპლს. საქართველოს ხელისუფლება, ფაქტია, გასასტუმრებელია პოლიტიკურ სასაფლაოზე, საქართველოს საზოგადოებას ჯერ კიდევ არ სჯერა თავისი ძალების და სულ სხვაგან იყურება — ამერიკისკენ იყურება, ოპოზიციისკენ იყურება და იმდენი არ იცის, რომ თვითონაა წარმმართველი ძალა და, ამერიკა იქნება, რუსეთი თუ ნებისმიერი ოპოზიციური ძალა, მხოლოდ საზოგადოების ინტერესებზე შეიძლება დააფუძნოს თავისი მოძრაობა და თავიანთი ინტერესები. ამის მშვენიერი მაგალითია ეგვიპტე, ტუნისი, სადაც ხალხი გამოვიდა და არ შეუშინდა



არც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, არც ტყვიებს, თავი გაწირეს, მაგრამ გაიმარჯვეს. შესაბამისად, ჩვენც მთელი ყურადღება უნდა გადავიტანოთ იმაზე, თუ რამდენადაა მზად საზოგადოება ამა თუ იმ ღონისძიებისთვის. ხელისუფლების ეს ქცევა არის პარანოიტანული. ეს არის ისტერიკული, მაგრამ გასდის, რადგან საზოგადოება ვერ კითხულობს მის ქცევებს.

***— ასეთი შეფასებებიც მოვისმინე, რომ თითქოს ხელისუფლება 26 მაისის შემდეგ უფრო ომახიანი გახდა და ამ პროცესებმა უფრო გააძლიერა...***

— ომახიანი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სჭირდება თავისი სისუსტეების გადასაფარავად. ნახეთ, როგორ ხშირად ახსენებს სააკაშვილი სიტყვას „მაგარია“, „მაგარი“. მუდმივად უნდა შეახსენოს საზოგადოებას სიმღერა — „მიშა მაგარია“, ანუ ეს ყველაფერი კარგად, მაგრამ პრიმიტიულად დადგმული სპექტაკლია, სადაც მისი ომახიანობა პიესის ტერმინოლოგიის ნაწილია.

***— თქვენთვისაც ცნობილია, რომ გასულ კვირას გაიმართა პრემიერა ფილმისა „აგვისტოს ხუთი დღე“. როგორ ფიქრობთ, მორალურად რამდენად გამართლებული იყო ამ ყველაფრის შოუდ გადაქცევა?***

— ეს იყო ამაზრზენი, გულისამრევი სპექტაკლი, როცა ქართველი ხალხის ტრაგედიაზე ზეიმი მოაწყვეს, როგორც 2008 წლის 12 აგვისტოს, ტაშ-ფანდური რომ გამართეს და სარკო სარკო რომ იძახეს. სამარცხვინო და გულისამრევი იყო ის ტაშ-ფანდური და ახლა მით უმეტეს, ვერაფერი ისწავლეს და ქართველი ხალხის ტრაგედიაზე ააგეს მართლაცდა აღმაშფოთებელი სპექტაკლი. მე ფილმი არ მინახავს და თავისთავად მის ავ-კარგზე ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ იმ ფრაგმენტებში, რომლებიც გადის ტელევიზიებით, როგორც რეკლამა, იქ აშკარად წინა პლანზე გამოტანილია ფრაზები, რომ საქართველო იძულებული იყო, ომში ჩართულიყო, ვინაიდან რუსები შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და სააკაშვილის ფრაზები ისმის, ხშირად არ აჰყვეთ პროვოკაციასო, რაც, ბუნებრივია, სიცრუეა. ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, საქართველო იყო პირველი. პირველად მან განახორციელა აგრესია ცხინვალის წინააღმდეგ და შემდეგ უკვე რუსეთმა განახორციელა დიდი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. ამ ომში იყო ორი მსხვერპლი და ორი აგრესორი. მსხვერპლი იყო სამხრეთ ოსეთი და საქართველო რუსეთის მხრიდან და აგრესორი იყო საქართველო ოსეთის წინააღმდეგ და რუსეთი კიდევ — საქართველოს წინააღმდეგ. აშკარად ეს არის ყოვლად მიუღებელი, პროპაგანდისტული ტრიუკი და სულ მალე, ერთ თვეში ვნახავთ, რამდენმა ადამიანმა უყურა მსოფლიოში ამ ფილმს. ვნახავთ, თუ როგორი კრახით დამთავრდება ამ ფილმის წარმატება.

***— არადა, რამდენი მილიონია უკვე გადაყრილი...***

— და თანაც ქართული ფული და არა უცხოური. ქართველი საზოგადოება კიდევ ერთხელ კარგად უნდა დაფიქრდეს, თუ რა სახელმწიფოში ცხოვრობს, რა ხელისუფლება ჰყავს და უნდა თუ არა ასეთი, სპექტაკლებით იკვებებოდეს.

***— სააკაშვილი ცდილობს, დაანახვოს მსოფლიოს, რომ თითქოს თავად არ დაუწყია ეს პროვოკაცია და ყველაფერში მხოლოდ რუსეთია დამნაშავე...***

— უცხოეთში ყველა ყველაფერს კარგად ხედავს, ვინ არის სააკაშვილი. ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი კითხვა გახდა, როდესაც უცხოელებს ვხვდები და როდესაც ისინი მხვდებიან, ასეთი კითხვა მაქვს, როგორ აღიქმება უცხოურ საზოგადოებაში სააკაშვილი? უმრავლესობა ამბობს, რომ სააკაშვილი არ აღიქმება არანაირად, არ ხდება მისი შემჩნევა. ბევრისთვის ის უკვე საერთოდ არაღქმადია. სააკაშვილი, შესაბამისად, არ არის აღქმადი და, თუ არის აღქმადი, მხოლოდდამხოლოდ უაღრესად უარყოფით კონტექსტში. პრაქტიკულად, დადებით კონტექსტში სააკაშვილი უკვე აღარ აღიქმება. ერთადერთი რეაქცია, რასაც ის იწვევს, დაცინვაა. მის მიმართ დამოკიდებულება დასავლეთში, დემოკრატიულ სახელმწიფოებში ძალიან დაბალია. ახლა პოლიტიკური ელიტა როდესაც გამოდის და რაღაცას ლაპარაკობს, ეს ერთია და თითქმის კარგად ვიცი, რომ ზურგსუკან დასცინიან კიდევაც. დასცინიან არა მარტო სააკაშვილს, ფაქტიურად, დასცინიან ქართველ ხალხსაც, რომელსაც არ შესწევს ძალა, ასეთი პრიმიტიული და კარიკატურული ავტორიტარი მოიცილოს, როგორც მუწუკი თავისი სხეულიდან.

***— როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ ახალი ინიციატივით გამოვიდა „რვიანი“. მათ განაცხადეს, რომ ჩაიშალა მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან და ისინი გადადიან სამოქალაქო აქტივობებზე. როგორ იქნა თქვენ მიერ ეს ინიციატივა გაგებული და რას გვპირდება „რვიანი“?***

— ძალიან კარგად გავიგე ეს ინიციატივა და მივესალმები ამ ყველაფერს. მე თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ხშირად მითქვამს, რომ საჭიროა „რვიანს“ ჰქონდეს რაღაც გარკვეული სამოქალაქო აქტიურობები, გარდა მოლაპარაკებებისა. ჯობია, ეს გაეკეთებინა ცოტა ადრე, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, ანუ საჭიროა არა შეუქცევადი აქციები, არამედ ერთ-ორსაათიანი მრავალათასიანი მიტინგების ჩატარება, სადაც კონკრეტული თემებით გამოვლენ, მაგალითად, არა მიშა გადადექით, არამედ საარჩევნო კოდექსის შეცვლაზე. ეს აქციები უნდა იყოს პერმანენტული, მაგალითად, კვირაში ერთხელ ერთი-ორი საათით. ისეთი მოთხოვნები უნდა წამოაყენონ, რაც სააკაშვილისთვის მიუღებელი ვერ იქნება, იმიტომ რომ დემოკრატიაზე იქნება საუბარი, ის ველარ იტყვის, ეს ჩემ წინააღმდეგ არისო. საჭიროა ამ ტალღაზე შეჩერება და ამ ტალღით მოქმედება ქართული ავტორიტარიზმის წინააღმდეგ.

# საქართველოს სომხეთის კათოლიკოსი გარეგინ მეორე ეწვევა



დღეს საქართველოს სომხეთის კათოლიკოსი გარეგინ მეორე ეწვევა.

როგორც „მედიანიუსს“ საქართველოს საპატრიარქოდან აცნობეს, სომხეთის კათოლიკოსი 11 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა თბილისის მთავარ ეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესს და უნეტარესს ილია მეორეს შეხვდება.

ვიზიტის ფარგლებში ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის ურთიერთობის საკითხები განიხილება.

სომხეთის კათოლიკოსი ჯავახეთის რეგიონსაც ეწვევა და ადგილობრივ სომხებს შეხვდება.

გარეგინ მეორე საქართველოში ვიზიტის ფარგლებში სომხურ და ქართულ მხარეებს შორის სადავო ეკლესიების, ასევე საქართველოში სომხური ეკლესიის იურიდიული სტატუსის განსაზღვრის საკითხს დააყენებს.

შეგახსენებთ, რომ 1894 წლის შემდეგ, სომხეთის არცერთი კათოლიკოსი საქართველოში არ ჩამოსულა.

**მედიანიუსი**

# *გია ბურჯანაძე:* ხელისუფლება ტერორისტულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა



სახალხო კრების შეფიცულთა რაზმის ხელმძღვანელი გია ბურჯანაძე საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, თავი დაანებოს რიგითი ადამიანების დევნასა და დაკავებას და თუ რაიმე აინტერესებთ, მას ჰკითხონ.

— ჩვენ არ ვაპირებთ ბრძოლის შეწყვეტას, ჩვენ ყველანი შეფიცულები ვართ. ჭადრაკის სასახლეში ბევრი თქვენგანი იმყოფებოდა, როდესაც შეფიცულები ჩამოყალიბდა. ეს რომ კრიმინალური ორგანიზაცია ყოფილიყო, არც დარბაზში შევიკრიბებოდით, არც ტელევიზიებს მოვიწვევდით და არც გავაშუქებდით. კრიმინალური ორგანიზაციები ჩუმად ყალიბდება და ისინი ჩუმად აკეთებენ თავიანთ საქმეს. შეფიცულებს აქვთ თავიანთი ფიცი და წესი, რომელიც სრულიად შეესაბამება კონსტიტუციას, — აღნიშნა გია ბურჯანაძემ.

ბურჯანაძის თქმით, მათი მიზანია საქართველოში ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები, თავისუფალ გარემოში, რასაც წინ კრიმინალური ხელისუფლება ეღობება.

— 25 რიცხვის შემდეგ ხელისუფლება ჩამოყალიბდა ტერორისტულ ორგანიზაციად. რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება და საკუთარ ერს ატერორებენ, — აღნიშნა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, მათი უპირველესი მიზანი იმ ადამიანების ციხიდან გამოყვანაა, რომელთა ფიზიკურად და მორალურად განადგურებასაც ხელისუფლება ცდილობს.

**მედიანიუსი**

# ბაჩო ახალაია გენერალ დევიდ პეტრეუსს შეხვდა



საქართველოს თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია ნატო-ს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების სარდალს დევიდ პეტრეუსს შეხვდა. დევიდ პეტრეუსმა საქართველოს თავდაცვის მინისტრს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა სამშვიდობო მისიაში წარმატებული მონაწილეობისთვის.

როგორც „მედიანიუსს“ საქართველოს ავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, შეხვედრაზე ისაუბრეს ავლანეთში დამატებითი ბატალიონის გაგზავნის შესახებ. გენერალი პეტრეუსი მიესალმება ამ გადაწყვეტილებას. მისი განცხადებით, გარდა იმისა, რომ ეს იქნება საქართველოს მიერ შეტანილი დიდი წვლილი მსოფლიო უსაფრთხოებაში, ამით ქართველი სამხედროები მიიღებენ უნიკალურ გამოცდილებას. დამატებით მეორე ბატალიონი ავლანეთში მომავალ წელს გაემგზავრება.

ბაჩო ახალაიამ და დევიდ პეტრეუსმა საქართველოში ნატო-ს სტანდარტების რეგიონალური საწვრთნელი ცენტრის ჩამოყალიბებაზეც ისაუბრეს. გენერალი პეტრეუსი მიესალმება ინიციატივას შეიქმნას საქართველოში ცენტრი, რომლის მთავარი მიზანია საერთაშორისო ოპერაციებისთვის გადასროლისწინა წვრთნების განხორციელება. ცენტრის შექმნის საკითხში საქართველოს ნატო-ს სრული მხარდაჭერა აქვს. გენერალ პეტრეუსის თქმით, ცენტრის შექმნისა და წარმატებით ფუნქციონირებაში საკუთარი წვლილის შეტანის საკითხზე ის ამერიკელ სამხედროებთან ერთად იმსჯელებს.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# დმანისის ტყიდან ბადრი ბიწაძე მე გამოვიყვანე

ნათია ხურცილავა



გუბაზ სანიკიძემ ბადრი ბიწაძის შესახებ ახალი დეტალები გაახმაურა. სანიკიძემ 26 მაისს მომხდარი ფაქტის გარკვეულ დეტალებზე ისაუბრა. მისი თქმით, დმანისის ტყეში დატოვებული ბადრი ბიწაძე მან ბოლნისამდე ჩამოიყვანა.



გუშინ „პრაიმ-ტაიმის“ პრეს-კლუბში ჟურნალისტებმა „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთ ლიდერ გუბაზ სანიკიძეს კითხვებით მიმართეს.

გუბაზ სანიკიძის განცხადებით, მას არ უნდოდა ამ თემაზე საუბარი, მაგრამ, რადგან ინფორმაცია გავრცელდა, მან დეტალურად გაიხსენა, როგორ იპოვა ბადრი ბიწაძე ტყეში.

— 26 მაისს, გამთენიისას, როდესაც პოლიციამ ნინო ბურჯანაძის ვაჟი დააპატიმრა, რაც, ალბათ, ყველამ ნახა ტელევიზიით, ამის შემდეგ პირადად მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ მივსულიყავი ნინო ბურჯანაძესთან სახლში. პოლიტიკა პოლიტიკად რჩება, მაგრამ მე და ნინო ბურჯანაძეს ბავშვობიდან ხანგრძლივი ურთიერთობა გვაქვს. ამიტომ ვალდებულად ჩავთვალე თავი, რომ იმ დროს, როდესაც მას ადამიანურად ყველაზე მეტად უჭირდა, მის გვერდით ვყოფილიყავი, — აცხადებს სანიკიძე.

„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი დეტალურად ყვება, როგორ მივიდა ბურჯანაძესთან სახლში.

— მივედი მასთან სახლში, ანზორი, მისი ვაჟი, დამხვდა. როგორც ჩანს, პოლიციამ მალევე გაათავისუფლა. მაშინ შევხვდი ქალბატონ ნინოს. გავრცელებული იყო ინფორმაცია, რომ ბადრი ბიწაძე დაკარგული იყო. არ იცოდნენ, სად იყო. შემდეგ გაირკვა, რომ ქვემო ქართლში იყო მარტო ტყეში დატოვებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ. მივიღეთ გადაწყვეტილება, რადგან არ იყო სხვა ტრანსპორტის საშუალება, მე წავედი მის წამოსაყვანად. შევხვდი მას. ის იყო მარტო, ნამდვილად არ იყო ნაცემი და მან ეს დამიდასტურა. შემდეგ თბილისისკენ წამოვედით. გზაში მთხოვა, რომ ბოლნისში დარჩებოდა და დარჩა ბოლნისში. ამის შემდეგ მე ბადრი ბიწაძე არ მინახავს, არც ქალბატონი ნინო. ასე რომ, მისი ადგილსამყოფელის შესახებ არაფერი ვიცი. შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები, არანაირი ინფორმაცია ამის შესახებ არ მაქვს, — ამბობს სანიკიძე.

სანიკიძე აცხადებს, რომ მას და ბადრი ბიწაძეს მთელი გზა არაფერზე უსაუბრიათ.

გუბაზ სანიკიძე ასევე ყვება, როგორ აღმოჩნდა ბადრი ბიწაძე ქვემო ქართლის ტყეში.

— არაფერზე არ გვისაუბრია, აბსოლუტურად არაფერზე. მოგეხსენებათ, როგორ სტრესში იქნებოდა ის და არც მე ვიყავი ნაკლებ მდგომარეობაში, ამიტომ, ფაქტობრივად, ჩვენ გზაში არ გვისაუბრია. არც მე დამისვამს შეკითხვები და არც მას. რაც შეეხება იმას, როგორ აღმოჩნდა იქ, რამდენადაც მან მითხრა, ის თავის მეგობრებთან ერთად იყო ქვემო ქართლში, შემდეგ მოხდა სამართალდამცავების მიერ მათი დაკავება. მისი მეგობრები და მისი მანქანა წაიყვანეს და ბადრი ბიწაძე მარტო ტყეში დატოვეს, — აღნიშნა გუბაზ სანიკიძემ.

სანიკიძე აცხადებს, რომ ინფორმაცია ბადრი ბიწაძის ტყეში დატოვების შესახებ ოჯახმა ბიწაძისგან მიიღო.

გუბაზ სანიკიძემ ასევე უპასუხა კითხვას, თუ რატომ არ გავიდნენ აქციაზე სხვა ოპოზიციური პარტიის წევრები.

— ბევრი მიზეზის გამო. პოლიტიკას თავისი წესები აქვს. პოლიტიკური ორგანიზაცია, პირველ რიგში, იქ არ მონაწილეობს, რის დაგეგმვაში მას მონაწილეობა არ მიუღია. „ეროვნული ფორუმი“ 21 მაისის აქციას არ გეგმავდა „სახალხო კრებასთან“ ერთად, ამიტომ ჩვენ ვერ მივიღებდით, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, მონაწილეობას. სხვა პარტიებიც, ალბათ, ამ მიზეზით არ იყვნენ იქ. პოლიტიკოსს ძალიან მაღალი პასუხისმგებლობა აქვს. გულით, რა თქმა უნდა, იმ ხალხის გვერდით ვიყავი და დღესაც ასე ვრჩები, მაგრამ პირადად ჩემი აქციაზე გამოჩენა რაღაცის მაპროვოცირებელი იქნებოდა, მით უმეტეს იმის, რისი გამოცნობაც ძალიან რთული იქნებოდა. ალბათ, ჩემი იქ გამოჩენა გამოიწვევდა რამდენიმე ასეული ჩემი პარტიის წევრის იქ გამოჩენას. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მე დამეკისრებოდა. ამ დროს კი ძალიან მარტივი შეკითხვა შეიძლებოდა დასმულიყო: თუ არ იცი, რატომ მიდიხარ? დაგვჩემდა, რომ ჩვენ მაინც ირაციონალურით ვხელმძღვანელობთ, რაციონალური უკანა პლანზე გვაქვს გადაწეული. ემოციური ხალხი ვართ. ეს ჩვენი ეროვნული ბუნებაა, მაგრამ ჩვენი მხრიდან პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო მიღებული, — განაცხადა სანიკიძემ.

სანიკიძე 26 მაისს განვითარებულ მოვლენებზე მთელ პასუხისმგებლობას დღევანდელ ხელისუფლებას აკისრებს. მისი თქმით, არ შეიძლება, ნაცემი ადამიანი პასუხისმგებლობას იზიარებდეს.

— ყველა შემთხვევაში პასუხისმგებელი ხელისუფლებაა. 26 მაისს არ მომხდარა მიტინგის დაშლა. ეს იყო დარბევა. მიტინგი ალყაში იქნა მოქცეული. ეს არის დარბევა, ანგარიშსწორება, ტერორი. არ მჯერა და შეუძლებელია გჯეროდეს, რომ ვინმე შურდულებით აპირებდა ხელისუფლების დამხობას. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის მორიგი პიარკამპანია. როგორც ჩანს, ვერ ადასტურებენ რუსეთთან თანამშრომლობას. კითხვას სვამ: თუ ეს ხალხი მართლაც თანამშრომლობდა რუსეთთან, მაშინ, რატომ არ აკავებენ? დაგვიდასტურონ, რომ ეს ხალხი რუსეთთან თანამშრომლობდა და მერე ჩვენზე იყოს. მე არ მჯეროდა, რომ ეს პროცესი რევოლუციით დასრულდებოდა. ვიცოდი, რომ პროცესი განწირული იყო, — ასეთია გუბაზ სანიკიძის განწყობა.

გუშინ გუბაზ სანიკიძემ კახა კუკავასაც უპასუხა. კუკავას განცხადებით, ის კარგად იცნობს გუბაზსაც და ზვიადსაც და ამბობს, რისი გამომსვლელები იყვნენ ისინიო.

— ეს კახა კუკავას პოზიციაა და მას აქვს უფლება, ძალიან დაბალი წარმოდგენა ჰქონდეს ჩემზე, არ არის პრობლემა, — პასუხობს კუკავას სანიკიძე.

სანიკიძემ გამოქვეყნებულ ჩანაწერებზეც გააკეთა კომენტარი. მისი შეფასებით, ნინო ბურჯანაძისა და მისი ვაჟის საუბარი არაფერს ნიშნავს.

— ხელისუფლებამ ძალიან მაღალი თამასით დაიწყო, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო, ლამის რუსეთის მოწვევისთვის იბრძოდა „სახალხო კრება“, მაგრამ, საბოლოო ჯამში, წაყენებული ბრალდებები მომიტინგეებზე, ბადრი ბიწაძეზე, რომ მან პოლიიცას წინააღმდეგობა გაუწია, ამ საკითხებზე ბევრი კითხვა ისმებმა, მაგრამ ჩვენ ხელისუფლებისაგან პასუხს ვერ ვიღებთ. თუ ჩანაწერები მათ მანამდე ჰქონდათ, რატომ არ გამოაქვეყნეს? პრევენცია ხომ უნდა მოეხდინათ. ნებისმიერი ქვეყნის უშიშროება, უსაფრთხოების სამსახურები, პრევენციაზე მუშაობენ, ანუ დანაშაულზე, რათა საფრთხე აღკვეთონ. ბევრი სპეცსამსახური ისე მუშაობს, რომ სერიოზულ საფრთხეებს აცილებენ ქვეყანას ისე, რომ მოსახლეობა ვერ იგებს ამას. დღეს პოსტფაქტუმ ამას რატომ გვეუბნებიან? თუ გადატრიალებას გეგმავდნენ, მაშინ აქციის სხვა ადგილზე გამართვას რატომ სთავაზობდნენ? — განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

გავრცელებული ინფორმაციით, „რვიანში“ განხეთქილებაა. ნაწილი მომხრეა უფრო დიდი ერთობის, ნაწილი კი „რვიანის“ შემადგენლობას საკმარისად მიიჩნევს.

გუბაზ სანიკიძემ უარყო „რვიანში“ დაპირისპირების ფაქტი.

— „რვიანი“ არ გეგმავს გაფართოებას. თუ სამოქალაქო მოძრაობაში ჩაერთვებიან ადამიანები, პოლიტიკური ორგანიზაციები, მაშინ ვერანაირ პრობლემას ამაში ვერ ვხედავ და არც არავის დაუშლია ეს, არც არავინ არის მასპინძელი. რა იქნება ხვალ, ვერ გეტყვით, მაგრამ სამოქალაქო მოძრაობაში ჩართულობა არ არის „რვიანის“ გადასაწყვეტი. სამოქალაქო მოძრაობა მოიცავს პოლიტიკურ ნაწილს, რომლის უზრუნველყოფას გააკეთებს „რვიანი“. თუ ადამიანები, პოლიტიკური პარტიები გამოთქვამენ სურვილს, რომ ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებენ, პრობლემა არ არის, პირიქით, კარგი იქნება. ისევ იმ აზრზე ვრჩები, რომ დიდი სამოქალაქო შეთანხმებაა გამარჯვების ფორმულა. ჩვენ ვნახეთ შიდა ოპოზიციური დაპირისპირება, შიდა საზოგადოებრივი დაპირისპირება. ამიტომ დიდი ქართული შეთანხმება მისაღწევია კონკრეტულ საკითხზე — ეს არის სამართლიანი არჩევნები. ეს არის ახალი სიტყვა დღეს. საზოგადოებაში დღეს მაინც მთავარი მოთხოვნა არის ის, რომ იქნებ შედგეს გარკვეული ერთობა. ეს არ ნიშნავს პოლიტიკურ ბლოკს. „რვიანმა“, ძალიან ბევრი სირთულის მიუხედავად, მოახერხა ერთ კონკრეტულ საკითხზე შეთანხმება, ამიტომ ეს არის უპრეცედენტო მოვლენა განსხვავებული ბიოგრაფიების, განსხვავებული სტრატეგიული მოქმედებების მქონე პოლიტიკურ ძალებს შორის, — განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

სანიკიძემ ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებაზე კომენტარი გააკეთა. ოქრუაშვილმა რუს ჟურნალისტთან ინტერვიუში განცხადა, რომ საქართველოში ჩეჩენი ტერორისტები მზადებას გადიოდნენ.

— რაც არ უნდა არ მომწონდეს ეს ხელისუფლება, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი არასოდეს მქონია, ყოველთვის ვიბრძოდი ამის წინააღმდეგ, მაგრამ ასეთი განცხადების გაკეთება არ შეიძლება. მართალია თუ ტყუილი, არ ვიცი, მაგრამ ამის განცხადება არ შეიძლება. არის კანონები და არის წესები. ამით სააკაშვილი კი არა, საქართველო ზარალდება! — განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

## ნატოს გენმდივანი ავღანეთის სამხედრო ოპერაციების 2014 წლამდე გაგრძელებას ვარაუდობს

ნატოს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, ავღანეთში ალიანსის სამხედრო მისია 2014 წლამდე გაგრძელდება.




ამის შესახებ გუშინ გენმდივანმა ბრიუსელში ნატოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე განაცხადა.

— ავღანეთი კვლავ რჩება ნატოს სამხედრო მოქმედებების მთავარ სამიზნედ. ვფიქრობ, ავღანეთში ნატოს სამხედრო მისია 2014 წლამდე გაგრძელდება, — განაცხადა რასმუსენმა.

ნატოს მინისტერიალს ასევე ესწრება აშშ-ს თავდაცვის მდივანი რობერტ გეითსი, რომელმაც აქცენტი წლის ბოლოსთვის აშშ-ს სამხედროების ავღანეთიდან დაგეგმილ ეტაპობრივ გამოყვანაზე გააკეთა. ეს გეითსის ბოლო ვიზიტია თავდაცვის მდივნის რანგში. ის ამ პოსტს ოფიციალურად 30 ივნისს დატოვებს.

მედიანიუსი

## ვანო მერაბიშვილს ხელი არავინ ჩამოართვას!

### ლეიბორისტებმა შსს-ს წინ აქცია გამართეს

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტული პარტიის ლიდერები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საერთაშორისო სანქციების დაწესებას მოითხოვენ. ამ შინაარსის განცხადება ვანო მერაბიშვილის უწყებასთან გამართულ აქცია-ბრიფინგზე თავად ქვეყნის პირველმა ლეიბორისტმა — შალვა ნათელაშვილმა გააკეთა და ამით შეეცადა საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება მიეპყრო იმ ძალადობასა და დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომლებსაც კანონის სახელით შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ.**



ლეიბორისტული პარტიის ლიდერი გუშინ პარტიის აქტივისტებთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მივიდა და საპროტესტო აქცია გამართა. შალვა ნათელაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობას — მკვლელობათა ადგილი, თავად სამინისტროს კი მკვლელობათა სამინისტრო უწოდა.

— აქ არის მკვლელობათა სამინისტრო. აქ სხედან სააკაშვილის ჯალათები, რომლებიც მზად არიან, საკუთარი ხალხის სისხლი დალიონ საკუთარი მდგომარეობისა და ბატონობის უზრუნველსაყოფად, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერის თქმით, ქართველი ხალხი მაშინ გაიმარჯვებს, როდესაც ამ შენობაზე გამარჯვების დროშა აფრიალდება.

გუშინვე შალვა ნათელაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობასა და ევროკავშირს მოუწოდა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილსა და მის თანამოაზრეებზე ისეთი სანქციები გაატარონ, როგორი სანქციებიც დაწესდა ბელორუსის სამართალდამცველ სტრუქტურებზე.

— ვთხოვთ ამერიკასა და ევროკავშირს, ისეთივე სანქციები დაწესდეს მკვლელ მინისტრ ვანო მერაბიშვილსა და მის თანამოაზრეებზე, როგორი სანქციებიც დაუწესეს ლუკაშენკოს სამართალდამცავ სტრუქტურებს, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

ოპოზიციური პარტიის ლიდერმა გუშინვე დემოკრატიულ სახელმწიფოთა შინაგან საქმეთა მინისტრებს მოუწოდა, ხელი არ ჩამოართვან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს, რომლის პიარიც უწყებაში გატარებული „წარმატებული“ რეფორმების გამო დიდი ზარ-ზეიმით მიმდინარეობს როგორც საქართველოში, ისე ოკუპანტი რუსეთის მედიასაშუალებებით.

# ჩეჩნები ოქრუაშვილს აფრთხილებენ

## პანკისის ხეობაში არავითარი პანიკა არ არის

**რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა დოკუ უმაროვი გამოსაზაფხულებლად საქართველოში გაამგზავრეს. მათი მტკიცებით, კავკასიის იმამი თავს ახმეტის რაიონის სოფელ ომალოს აფარებს. ახმეტაში ორი ომალო გახლავთ. ამ შემთხვევაში საუბარი პანკისში მდებარე ომალოზეა.**

თეა მარხვაიძე



ამ ცნობის გავრცელებას პარიზში გადახვეწილი ჩვენებური ირაკლი ოქრუაშვილის სკანდალური განცხადება დაერთო თან. რუსულ მედიასთან საუბარში ის ამტკიცებს, რომ ჩეჩენი ბოევიკები საქართველოს ტერიტორიაზე უპრობლემოდ გადი-გამოდიოდნენ.

ცოტა ხნით ადრე ამერიკამ უმაროვის ადგილსამყოფელის დამდგენისთვის 5-მილიონიანი ჯილდო დააწესა. უმაროვს მათაც საერთაშორისო ტერორისტის წოდება მიანიჭეს და ახლა არავის აქვს გარანტია, რომ რუსეთი უმაროვის გასანეიტრალებლად სპეცოპერაციას არ ჩაატარებს.

თუ ჯონ ბასმა დარბევაზე მისცა ჩვენებურებს „დაბრო", ობამას განცხადებამ ვითომ რატომ არ უნდა აუნთოს რუსებს სპეცოპერაციის ჩატარებაზე მწვანე? თანაც რუსებს ასეთ რამეებზე როდის იყო, რომ ნებართვა სჭირდებოდათ.

რუსებს რისი გაკეთებაც შეუძლიათ, ეს პანკისის მოსახლეობას ყველაზე უკეთესად მოეხსენება. აქაურობა რუსებს არაერთხელ აქვთ დაბომბილი. საყვარელი ბომბუშკები რუსებმა მაშინ ჩეჩენი ტერორისტების განადგურების მიზნით ჩამოყარეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ოქრუაშვილის განცხადების შემდეგ პანკისში პანიკა დაიწყო. როგორც ამბობენ, მოსალოდნელი სპეცოპერაციის შიშით ადგილობრივებმა სოფელ ომალოდან ბავშვების გახიზვნა დაიწყეს.

ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს ახმეტის გამგეობა. ინფორმაციას არ ადასტურებს არც სოფელ ომალოს გამგებელი. ბავშვების გახიზვნასთან დაკავშირებულ ინფორმაციას უაზრობას უწოდებს ხიზრი ალდამოვიც. პანკისში შექმნილ ვითარებაზე ის „ახალ თაობას" ესაუბრება.

**ხიზრი ალდამოვი:**

— პანკისის ხეობაში არავითარი პანიკა არ არის. არც ბავშვები გაუხიზნავს აქედან ვინმეს. ამის არავითარი აუცილებლობა არ არის. ხეობა ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობს. მათ ისეთივე პრობლემები აქვთ, როგორიც — დანარჩენ საქართველოს. აქ არანაირი განსაკუთრებული ვითარება არ არის.

***— ამბობენ, ადგილობრივები შიშობენ, რომ აქ რუსებმა შეიძლება პროვოკაცია მოაწყონ...***

— რუსების მხრიდან პროვოკაცია ყოველ წუთს მოსალოდნელია. აქაურობა რუსებმა გასულ წლებში ბევრჯერ დაბომბეს კიდევაც. რუსული პროვოკაციის შიშით არავინ თავის ოჯახს არსად გახიზნავს. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ მთელი საქართველო უნდა გადავასახლდეთ. მოსკოვიდან წამოსული პროვოკაცია მთელ ქვეყანას ემუქრება.

***— ამ შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ უმაროვი პანკისის ხეობას აფარებს თავს. ის რუსებს პირველ ტერორისტად ჰყავთ გამოცხადებული. ამ მიზნით მათ სპეცოპერაციის ჩატარებას ბევრი არ დაუგმობს.***

— ტერორისტები რუსებმა თავისკენ მოიკითხონ. უმაროვი ტერორისტი არ არის. ის არის ჩეჩენი მებრძოლი, რომელიც თავისი ქვეყნის თავისუფლებისთვის იბრძვის.

***— და ამ ბრძოლაში ტერორისტულ აქტებსაც იყენებს...***

— მე ადრეც გითხარით, რომ არ მომწონს, როცა ტერორისტული აქტები ხდება. მართალია, რუსებმა ასეულობით ათასი მშვიდობიანი ჩეჩენი მოსახლე მოკლეს, მაგრამ არ მინდა, უდანაშაულო რუსები იღუპებოდნენ ამის გამო. სხვა მხრივ, უმაროვი ისე იქცევა, როგორც ჭეშმარიტი ჩეჩენი მებრძოლი. ათასჯერ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ ის საქართველოში არ არის. ის არის თავის მიწაზე და ცდილობს, მშობლიური მიწა დამპყრობლებისგან გაათავისუფლოს.

***— მის ბრძოლას დასავლეთში ასე არ აღიქვამენ. ამერიკამ ის საერთაშორისო ტერორისტის რანგში აიყვანა და მისი თავი 5 მილიონადაც კი შეაფასა. ეს რისი მანიშნებელია?***

— ეს იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთი კარგად მუშაობს. ამერიკა ადამიანის უფლებების დაცვაზე ბევრ განცხადებას აკეთებს. კუვეიტის გამო ის ერაყშიც კი შეიჭრა. ჩეჩნეთთან დაკავშირებით სხვა დამოკიდებულება აქვს. არ უნდა, რომ რუსეთი გაანაწყენოს. ასევე იქცევიან სხვებიც. არადა, თუ ვინმეზეა ხმა ამოსაღები, ეს ჩეჩნები არიან. ლამის მთელი ერი გაჟლიტეს. ისინი კი ბრძოლას არ წყვეტენ და არც არასდროს შეწყვეტენ. მათთვის სამშობლოს თავისუფლებაა მთავარი. მათ არ აინტერესებთ, რამდენ მილიონს დააწესებს მათზე ამერიკა. ამერიკა სამართლიანად რომ იქცეოდეს, მაშინ სხვას გამოაცხადებდა ტერორისტად. ის ტერორისტი კრემლში ზის.

***— მხედველობაში პუტინი გყავთ?***

— ეგ მყავს, ეგ. მაგისი გვარის ხსენებაც კი არ მინდა. ეგ ადამიანი არ არის. არც კი ვიცი, რა არის. რით ვერ დაიღალა ამდენი სისხლით და ომით. კარგი, ჩეჩნები არ ეცოდება, თავისმა რუსებმა რაღა დაუშავეს. ამ ომმა განა ცოტა რუსი იმსხვერპლა? მაგრამ სისხლით ვერ ძღება, ვერა. ახლა უფრო გაშმაგებულია. რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები მოდის და კიდევ ერთხელ უნდა პრეზიდენტობა. რეიტინგის ასაწევად ისევ ჩეჩნეთს გამოიყენებს, ოღონდ არაფერი გამოუვა. აქ ბრძოლა არასდროს შეწყდება. რუსების გულის გასახეთქად არც უმაროვი დატოვებს იქაურობას.

***— მას ჩეჩნეთი არასდროს დაუტოვებია? ამბობენ, რომ ის წლების წინ მართლა იმალებოდა საქართველოში. ეს სიმართლეა?***

— ის საქართველოში მართლაც იყო 1999-2000 წლებში. მაშინ ჩეჩნებმა საქართველოს შეაფარეს თავი. მათ შორის იყო უმაროვიც. მერე წავიდა ჩეჩნეთში და დღემდე იქ არის. მას ჩეჩნეთის დატოვების უფლება არა აქვს.

***— რატომ?***

— ვალდებულებები აქვს აღებული. ის თავს ჩეჩენი ერის წინამძღოლად მიიჩნევს. ჩეჩნეთის ყველა წინამძღოლი ჩეჩნეთში მოკვდა. იქ დაიღუპა ჯოხარ დუდაევი. იქ დაიღუპა ასლან მასხადოვი. მათ თავიანთი მიწა და ხალხი არ მიუტოვებიათ. ასევე მოიქცევა უმაროვიც. მასზე ჭორების გავრცელებას ყველამ თავი დაანებოს, განსაკუთრებით იმათ, ვინც საზღვარგარეთ არიან. ევროპაში მყოფ ჩეჩნებს მისი გაკრიტიკების უფლება არა აქვთ. ამ თემაზე საუბრის უფლება არა აქვს არც ირაკლი ოქრუაშვილს.

***— მას რატომღა არა აქვს ჩეჩნებზე საუბრის უფლება?***

— ჩეჩნებზე საუბრის უფლებას არავინ ართმევს, ოღონდ, გააჩნია, რას ილაპარაკებს. მისი ბოლო განცხადებები იყო საკუთარი ქვეყნის ღალატი.

***— მხედველობაში, ალბათ, ის განცხადება გაქვთ, სადაც ამბობს, რომ საქართველომ ჩეჩენ ბოევიკებს კორიდორი მისცა.***

— ეგ განცხადება სამშობლოს ღალატია. დავიწყოთ იმით, რომ ეს ინფორმაცია სრული სისულელეა. ასეც რომ ყოფილიყო, უნდა ეთქვა? თუ თქმას აპირებდა და ეს არ მოსწონდა, სხვა დროს გაეკეთებინა ამასთან დაკავშირებით განცხადება.

***— როდის?***

— როცა მინისტრი იყო. ის ამბობს, რომ კორიდორის მიცემა მაშინ ხდებოდა, როცა ის ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდა. მის განცხადებას არანაირი გამართლება არა აქვს. მესმის, რომ ამ ხელისუფლებაზე გაბოროტებულია, მაგრამ ამ ბოღმას სამშობლო ხომ არ უნდა გადააყოლოს. როგორ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ ჩეჩენი ტერორისტები საქართველოს აფარებენ თავს. ეს მონაგონია.

***— არადა, ზემოთ თავად გვითხარით, რომ უმაროვი საქართველოში ადრე იმყოფებოდა...***

— ეგ იყო 2000 წელს. მაშინ მთელმა ჩეჩნეთმა საქართველოში იპოვა თავშესაფარი. უმაროვიც მათ შემოჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ ის ჩეჩნეთში დაბრუნდა და აქტიურად ჩაერთო საბრძოლო მოქმედებებში. მას ეს ბრძოლა დღემდე არ შეუწყვეტია და სამშობლო ოქრუაშვილივით არ მიუტოვებია.

***— ოქრუაშვილმა როდის მიატოვა?***

— ახლა ევროპაში რომ ზის, სამშობლოს მიტოვებაა.

***— საკუთარი ნებით ხომ არ ზის პარიზში...***

— გასაგებია, რომ იძულებულია, იქ იყოს. გასაგებია, რომ ხელისუფლებასთან დაპირისპირებულია, მაგრამ, ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს. არ შეიძლება, პირად სიძულვილს სამშობლო გადააყოლო. დავიჯერო, საქართველოში არავინ ჰყავს ნათესავი? დავიჯერო, არ ადარდებს, რომ რუსულმა პროვოკაციამ შეიძლება მისი ნათესავებიც შეიწიროს, განსაკუთრებით ახლა, როცა რუსეთი ჩასაფრებულია? ეგენი იოლად არ გადაიტანენ ჩერქეზების გენოციდის აღიარებას, ნებისმიერ ფასად შეეცდებიან სამაგიეროს გადახდას. ასეთ დროს ირაკლი ოქრუაშვილმა როგორ გააკეთა ეს განცხადება, არ მესმის. მე მინდა, მას ვთხოვო და მოვთხოვო, რომ ასეთ განცხადებებს შეეშვას. მას ამას ვთხოვ, როგორც საქართველოს შვილი და როგორც ჩეჩენი. მე მას მთელი ჩეჩნების სახელით ვაფრთხილებ, ვთხოვ, რომ საქართველოსთვის ხიფათის შექმნას თავი დაანებოს.

---

# სახალხო კრება მხარდამჭერებს სამოქმედო პროგრამას უახლოეს ხანებში გააცნობს



სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ბათიაშვილის განცხადებით, სახალხო კრება საკუთარ მხადამჭერებს სამოქმედო პროგრამას უახლოეს ხანში გააცნობს.

— ჩვენ მიმართ მთავარი კითხვა იმაში მდგომარეობს, ვაგრძელებთ თუ არა ბრძოლას. მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ბრძოლას არა მხოლოდ ვაგრძელებთ, არამედ ახლა ვიწყებთ. ასევე გვეკითხებიან, ვგრძნობთ თუ არა პასუხისმგებლობას. ჩვენ იმის პასუხისმგებლობას ვგრძნობთ, რომ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ საბოლოო გამარჯვებამდე და ეს არის ჩვენი მიზანი, — განაცხადა ბათიაშვილმა.

მისი თქმით, უახლოეს პერიოდში ისინი დახურულ დარბაზში, გაფართოებულ შეხვედრას ჩაატარებენ, სადაც კრების აქტივისტებს დეტალურად გაწერილ სამოქმედო პროგრამას წარუდგენენ.

მედიანიუსი

# გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭომ საქართველოში არსებული ვითარება განიხილა

გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭომ საქართველოში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ვითარება განიხილა, - ამის შესახებ საბჭოს ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება.

საბჭოს წინაშე მოხსენებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძე წარსდგა. მან აღნიშნა, რომ საქართველომ მიღებული 163 რეკომენდაციიდან 96 სრულად შეასრულა, 5 უარყო და 62-ზე მუშაობას განაგრძობს. საბჭოს ვებ-გვერდი აღნიშნავს, რომ საარჩევნო რეფორმის თაობაზე მსხვილმა პოლიტიკურმა პარტიებმა კონსენსუსის მიღწევა შეძლეს.

კაპანაძის მოსმენის შემდეგ საბჭოს წევრი სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დისკუსია გამართეს. აშშ-ის წარმომადგენელმა ჯონ მარიზმა ბავშვთა შრომის მიმართულებით საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები მოიწონა.

რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლმა მიხეილ ლებედევმა კი განაცხადა, რომ საქართველოს ქმედებები მხოლოდ იმის მოლოდინს ქმნის, რომ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისა და უგულვებელყოფის პოლიტიკა გაგრძელდება. მან, ასევე, ყურადღება გაამახვილა თბილისში დემონსტრაციის დაშლისას ძალადობის გამოძიების ვალდებულებაზე. ამ რეკომენდაციაზე ქართულმა მხარემ უარი განაცხადა, რაც რუსეთის წარმომადგენლის თქმით, იმის დემონსტრირებაა, რომ საქართველოში გამოხატვისა და შეკრებების თავისუფლება დაცული არ იქნება.

ინტერპრესნიუსი

# _თემურ შაშიაშვილი:_ შალვა წიკლაურმა გერმანიაში შიმშილობა დაიწყო



მოძრაობა „თეთრების" წევრმა, საქართველოსა და გერმანიის მოქალაქემ, შალვა წიკლაურმა 21 მაისს ბათუმსა და 26 მაისს თბილისში „მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევის, დაჭერების პროტესტის ნიშნად", გერმანიაში შიმშილობა გამოაცხადა. ამის შესახებ ინფორმაციას მოძრაობის პრესსამსახური ავრცელებს.

— მე ეროვნული მოძრაობის სათავეებთან მდგომი პიროვნება ვარ, ვამაყობ იმით, რომ მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიასთან ერთად მთავარი საბჭოს წევრი ვიყავი, მძიმე პერიოდები გავიარეთ და მივედით თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველომდე. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ხელისუფლება ასეთი სიძულვილით იქნებოდა საკუთარი ხალხის მიმართ განწყობილი. შემძრა თეთრების მიერ მომზადებულმა ანალიტიკურმა დოკუმენტმა საქართველოს მოსახლეობის გენოციდი".

მხილების მუზეუმში მოცემულმა ხელისუფალთა სასახლეებმა. მაგრამ ის, რაც 26 მაისს მოხდა, ჩემს ყველანაირ წარმოდგენას აჭარბებს. ყველაფერი ამის შემდგომ, რომ საქართველოს მოსახლეობას გენოციდს უწყობენ, ხელისუფალნი განცხრომით ცხოვრობენ, სისასტიკეს იჩენენ საკუთარი ხალხის მიმართ, ქართველობას არბევენ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, იჭერენ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებს, იჭერენ ჩემს მეგობარს, სოსო ჯაჭვლიანს მე უფლება არ მაქვს მშვიდად და წყნარად ვიყო. სწორედ ამიტომ ვიწყებ შიმშილობას, რადგან მხარდაჭერის ყველა სხვა ფორმას აზრი დაკარგული აქვს, — აცხადებს თემურ შაშიაშვილის თანაგუნდელი შალვა წიკლაური.

„თეთრების" ინფორმაციით, თავისი გადაწყვეტილების შესახებ წიკლაურმა აცნობა ფრანკფურტში ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარეს კარლ ჰაფენს და წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციას.

მედიანიუსი

# ცესკო-ს წარმომადგენლებმა სტრატეგიული მართვის საფუძვლებში ტრენინგი გაიარეს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა სტრატეგიული მართვის საფუძვლებში ტრენინგი გაიარეს.

ცესკო-ს ინფორმაციით, სწავლებაში კომისიის წევრები, დეპარტამენტების უფროსები და საარჩევნო სისტემების განვითარების რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორი მონაწილეობდნენ. ტრენინგი ოთხ ეტაპს მოიცავდა. სწავლებას მართვის აკადემიის ტრენერები - სანდრო ჯეჯელავა და სოფო ჯუღელი უძღვებოდნენ. სწავლების მიზანი ცესკო-ს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულების - ადმინისტრაციის ცოდნის პროფესიული განვითარებაა. ტრენინგი ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის ფინანსური ხელშეწყობით განხორციელდა.

ინტერპრესნიუსი

# ოპოზიციურ „რვიანში" განხეთქილებაა

ნანა მიშელაშვილი

**რა ხდება ოპოზიციურ „რვიანში"? ოპოზიციურ რვიანში აზრთა სხვადასხვაობაა. მართალია უთანხმოების შესახებ არავინ არ საუბრობს, მაგრამ ამბობენ, რომ „რვიანის" შიგნით ყველაფერი იდეალურად არ არის.**

ოპოზიციური „რვიანი" პოლიტიკური გაერთიანება არ არის, რვა პარტია მხოლოდ და მხოლოდ თემატურ საკითხთან დაკავშირებით არის შეკრებილი. „რვიანში" შემავალ პარტიებს ერთი მიზანი აქვთ — ისინი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით შეიკრიბნენ.

როგორც ამბობენ, „რვიანში" აზრთა სხვადასხვაობას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ქუჩის აქციებისა და მანიფესტაციების სავარაუდო გამოყენების საკითხი იწვევს.

შეგახსენებთ, რომ ოპოზიციურ „რვიანში" შედიან: ქრისტიან-დემოკრატები, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, რესპუბლიკელები, ახალი მემარჯვენეები, კონსერვატორები, ხალხის პარტია და „საქართველოს გზა".

პოლიტიკურ კულუარებში საუბრობენ, რომ „რვიანში" ერთი ისეთი პარტია შედის, რომელიც ნებისმიერი გაერთიანების დაშლის „დიდოსტატია". ერთობის დაშლის „დიდოსტატმა" აქამდე წარმატებით დაშალა სხვადასხვა გაერთიანება. თუ ამ პარტიამ ძველი ტრადიცია გააგრძელა, მაშინ „რვიანს" დიდი დღე არ უწერია.

ისე, ყველას ახსოვს, რვიანში შემავალ რამდენიმე პარტიას, ერთი რეიტინგული პარტია რომ არ მოსწონდა და პარლამენტში შესვლის გამო „ქოქოლას აყრიდა". მას შემდეგ, რაც წყენამ გადაიარა, რვა პარტია საარჩევნო კოდექსმა შეკრა, თუმცა, რამდენად შეადუღაბა, ამის თქმა ჯერ ძალზე ნაადრევია.

კარგა ხანია, რაც „რვიანმა" საკუთარი მოსაზრებები და პოზიციები საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ხელისუფლებას გააცნო. მმართველი პარტია კი „რვიანის" წინადადებებს აქამდე დუმილით პასუხობს. არადა, ოპოზიცია მოითხოვს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ საარჩევნო კანონმდებლობაზე საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს.

„რვიანის" ზოგიერთი წარმომადგენელი ხელისუფლებას ვადას მაისის ბოლომდე აძლევდა. ამ ვადის ამოწურავის შემდეგაც, ხელისუფლებას საკუთარი მოსაზრებები და წინადადები არ დაუფიქსირებია. მმართველ პარტიას არც მას შემდეგ გაუკეთებია კომენტარი, რაც „რვიანმა" რამდენიმე დღის წინ განცხადება გაავრცელა და ხალხის ინფორმირებულობის გზა აირჩია. სწორედ მაშინ განაცხადა „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ, რომ რვიანს კონკრეტული გეგმა აქვს შემუშავებული, რომელიც ასევე ითვალისწინებს ქუჩის აქციებს საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებული კონკრეტული მოთხოვნით.

გუშინ, სააგენტო „ინტერპრესნიუსს" მემარჯვენეების წევრმა მამუკა კაციტაძემ განუცხადა, რომ დღეს რაიმე ტიპის საუბარი ე.წ. ქუჩის აქტივობაზე ანუ მიტინგებზე და მანიფესტაციებზე, მაისში განვითარებული მოვლენების ფონზე, პარტიების მხრიდან ავანტიურიზმის დემონტრირებად და მორიგი უპასუხისმგებლობის დეკლარირებად მიაჩნია.

— ახალი მემარჯვენეები ამ ტიპის აქტივობას გამოვრიცხავთ, — ასეთია კაციტაძის პოზიცია.

„ახალი მემარჯვენეების" წევრისგან განსხვავებით, რვიანში შემავალი ზოგიერთი ლიდერი თავის „არსენალში" ქუჩის აქციებსაც განიხილავს. ასე რომ, ბოროტი ხმები ამბობენ, რომ რვიანში აზრთა სხვადასხვაობა იმდენად თვალში საცემია, რომ შესაძლოა „რვიანში" უთანხმოებამ იჩინოს თავი.

არის თუ არა რვიანში აზრთა სხვადასხვაობა?

„ქრისტიან დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ახვლედიანი განმარტავს, რომ აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის არის, რაც ცოცხალი პროცესია.

— ერთ აზრზე რომ იყოს რვა პოლიტიკური ძალა ყოველთვის, ყველა საკითხზე, ძალიან ერთფეროვანი, უცნაური, უსახური ოპოზიცია ეყოლებოდა საქართველოს. ბუნებრივია, აზრთა ჭიდილი არის, მაგრამ, მთავარია, რომ იმ თემასთან დაკავშირებით, რაც უკავშირდება საარჩევნო გარემოს, საარჩევნო კოდექსის დახვეწას, ერთიანი ვართ. ეს არის ერთმნიშვნელოვანი პოზიცია, — აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა.

ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ამბობს, რვიანში არანაირი საპროტესტო აქციებისა და მიტინგების საკითხი არ განიხილება და დღის წესრიგში ეს საკითხი არ დამდგარა.

— თუმცა, ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, რომ პოლიტიკურ არსენალში, პოლიტიკურ პარტიებს კანონით მინიჭებული უფლება აქვს ნებისმიერ სიტუაციაში პროტესტის თუ აქციის გამართვის. ამას ვერავინ ვერავის აუკრძალავს. თუმცა, ბრძოლის ეს ფორმა რვიანში დღესდღეობით არ განიხილება, — აღნიშნა „ახალ თაობასთან" საუბარში გიორგი ახვლედიანმა.

ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ირწმუნება, რომ არავითარ აქციებზე ან მანიფესტაციებზე რვიანში არც ღია და არც შიდა



კონსულტაციების დროს საუბარი არ ყოფილა. „მიტინგები, აქციები და კომბლები აქტუალური არ არის", — აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა და იქვე დაამატა, რომ ზოგადად პოლიტიკურ ძალებს თავის არსენალში საპროტესტო აქცია აქვს, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს.

— მთავარი არსი რა არის, რისთვის არის საპროტესტო აქცია? თუ საპროტესტო აქცია არის „გადადექის" მოთხოვნით, ეს არის წარუმატებლობისთვის და საზოგადოების იმედგაცრუებისთვის გათვლილი. როდესაც საუბარია საარჩევნო გარემოს გაუმჯებესებაზე, ბუნებრივია, ყველანარი ცივილიზებული ფორმა შეიძლება იყოს გამოყენებული. ახლა, ამ ეტაპზე არავითარი აქციები არ განიხილება, — ასეთია გიორგი ახვლედიანის პოზიცია.

დაიშლება თუ არა რვიანი? ამ კითხვაზე გიორგი ახვლედიანის პასუხი ასეთია: არანაირი დაშლის რეალობა არ არის!

— საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით და გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით შეთანხმებული ვართ, არც ერთ საკითხზე დაპირისპირება არ არის, — აღნიშნა ახვლედიანმა.

ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ამბობს, რომ ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ყველაზე მეტად არის დაინტერესებული, რომ ქვეყანაში საარჩევნო გარემო არ გაუმჯობესდეს, მმართველი გუნდია.

ისეთი პირი უჩანს, რომ საარჩევნო კოდექსზე მუშაობას პარლამენტი შემოდგომაზე დაიწყებს. მანამდე კი მმართველი პარტია და ოპოზიცია ალბათ დასვენებას არჩევს.

ამდენად, ოპოზიციურ რვიანში შემავალი პოლიტიკური სუბიექტები რაიმე უთანხმოებას ან დაპირისპირებას გამორიცხავენ. რაც შეეხება აზრთა სხვადასხვაობას, ამას ბუნებრივად მიიჩნევენ, რადგან აზრთა ჭიდილში ხომ „ჭეშმარიტება იბადება".

თუ შემოდგომისთვის ოპოზიციური რვიანი არ დაიშალა, მაშინ რვიანში შემავალი პოლიტიკური ლიდერები ალბათ ღვინობისთვის ერთობლივ სურათს გადაიღებენ. თუ რვიანი დაიშალა, მაშინ მათ დაშლამოშლის სადღეგრძელოს სათქმელად აღარ ეცლებათ, ისე გაუყვებიან საკუთარ გზას.

# ბალათურია სახალხო დამცველის უფლებების გაზრდას მოითხოვს

ნანა მიშელაშვილი

„ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბალათურია სახალხო დამცველის უფლებების გაზრდას მოითხოვს. დეპუტატმა სახალხო დამცველის შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებები მოამზადა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და სახალხო დამცველის აპარატის წევრებს გააცნო.

ბალათურიას მიერ მომზადებული ინიციატივა ითვალისწინებს იმას, რომ სახალხო დამცველს შეეძლოს წინადადებით მიმართოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით და გამოძიებაზე განახორციელოს მონიტორინგი თუ საქმის განხილვის შედეგად მივა დასკვნამდე, რომ არსებიბს დანაშაულის ნიშნები.




„ქართული დასის" ლიდერის განცხადებით, ქვეყანაში მძიმე მდგომარეობაა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, ამიტომ გადაწყვიტეს, სახალხო დამცველის ინსტიტუტის გაძლიერება მოხდეს. ბალათურიას თქმით, სახალხო დამცველს უნდა მიეცეს და დამატებითი ინსტრუმენტები, რათა ოპერატიულად და სწრაფად განახორციელოს უფლებადაცვითი ღონისძიებები.

— თუ სახალხო დამცველი საქმის შესწავლის და ანალიზის შედეგად ხედავს დანაშაულის ნიშნებს მისი მოთხოვნის საფუძველზე სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული იყოს აღიძრას სისხლის სამართლის საქმე დამნაშავე პირების ან ფაქტის მიმართ. ასევე სახალხო დამცველს უფლება ეძლეოდეს მონიტორინგი აწარმოოს კონკრეტულ საქმეებში, რათა არ ხდებოდეს საქმის ფაბრიკაცია, — აღნიშნა ჯონდი ბალათურიამ.

დეპუტატმა არსებული სტატისტიკა მოიშველია და განმარტა, რომ სახალხო დამცველის მიერ დასმულ ზოგიერთ საქმეებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ არც ერთი არ არის დასრულებელი და გამოძიებული.

ბალათურია ასევე საუბრობს ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტებზე, ხულიგნურ ფაქტებზე, რომელიც არ არის გამოძიებული.

— დღეს წინა ხაზზე უნდა იყოს სახალხო დამცველის ინსტიტუტი და არის კიდეც, ძალიან ეფექტურად მუშაობს ეს ინსტიტუტი, მაგრამ მას აკლია ის ბერკეტები, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ და ინიციატივაც მოვამზადეთ, — აღნიშნა ბალათურიამ.

„ქართული დასის" ლიდერის შეფასებით, ასეთი ორგანიზებული და ეფექტური სახალხო დამცველის ინსტიტუტი ბოლო პერიოდის საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა.

— ჩვენ გვინდა, რომ ეს ინსტიტუტი უფრო ეფექტური იყოს და სწრაფად განახორციელოს უფლებადაცვითი უფლებები, — აღნიშნა ბალათურიამ.

სახალხო დამცველის აპარატის იურიდიულ საკითხებში მთავარი მრჩეველი თამარ შვანგირაძე აცხადებს, რომ ჯონდი ბალათურიას ინიციატივას გაეცნო და ზოგადად მიესალმება ყველა იმ ინიციატივას, რომელიც სახალხო დამცველის უფლებამოსილებების გაძლიერებას შეეხება.

— უფრო დეტალურად ჩვენ პოზიციას აღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივაზე მოგვიანებით გაგაცნობთ, — აღნიშნა თამარ შვანგირაძემ.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგეწიოთ!
ზარის ღირებულება 1 ლარი

# თორთლაძე პრეზიდენტს მიმართავს

ნანა მიშელაშვილი

ანტიკრიზისული საბჭო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელებისა და წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას აპირებს. თუმცა, ამ სამსახურების ხელმძღვანელებს სიტუაციის გამოსასწორებლად დრო ჯერ კიდევ აქვთ.

გია თორთლაძე ამ ეტაპზე არავის პასუხისმგებლობის საკითხს არ სვამს და შემდეგ 6 თვეს დაელოდება გამოსწორდება თუ არა არსებული სიტუაცია. იმ შემთხვევაში თუ დევნილთა მდგომარეობა არ გამოსწორდება, თორთლაძე პასუხისმგებლობის საკითხის დასმით იმუქრება.

ანტიკრიზისულმა საბჭომ იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად ჩასახლების მონიტორინგი განახორციელა. გუშინ გამართულ ბრიფინგზე საბჭოს თავმჯდომარემ გია თორთლაძემ ჟურნალისტებს იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის მონიტორინგის შედეგები გააცნო და აღნიშნა, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში დევნილთა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა.

— ჩემი გამოსვლა ძალზე კრიტიკული იქნება, იმიტომ, რომ ეს არის მე-11 მონიტორინგი, ყველა მონიტორინგის შუალედში კეთდებოდა რაღაც და ჩვენი რეკომენდაციების შემდეგ უკეთესობისკენ მიდიოდა საქმე. რაც შეეხება ბოლო 6-თვიან მონაკვეთს, ჩვენ დავიბარეთ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელი ირაკლი კვაშილავა, რომელიც დაგვპირდა, რომ ახალ წელს ხეთაში წყალი ექნებოდათ, იგივე მოხდებოდა აბაშაში, ეს ყველაფერი არ შესრულდა. 6 თვე გავიდა და მონიტორინგებს შორის პერიოდში არაფერი არ გაკეთებულა, — აღნიშნა თორთლაძემ.

იმ პრობლემებს შორის, რომელიც დევნილებს აწუხებს თორთლაძემ გამოყო: წყლის შეყვანა საცხოვრებელ ობიექტებში, მათი გადახურვა, საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება, აბანოები, რომელიც წყალთან არ არის მიერთებული და ვერ იყენებენ.

გია თორთლაძის თქმით, ქუთაისში ავტოქარხნის შენობაში დევნილებისათვის დღემდე არ დაურიგებიათ ვაუჩერები. ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დროა დასრულდეს დევნილთათვის ბინების საკუთრებაში გადაცემის პროცესი.

ანტიკრიზისული საბჭოს შემდგომი მონიტორინგი სექტემბერში იქნება, ამიტომ თორთლაძე ყველას ვადას აძლევს მდგომარეობა გამოასწოროს.

— უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენ ვალდებულები ვიქნებით და იძულებული გავხდებით დავაყენებთ ყველა მათგანის პასუხისმგებლობის საკითხს, იმიტომ, რომ 6 თვის განმავლობაში შეუძლებელია ნაბიჯი არ გადადგმულიყო წინ, — აღნიშნა თორთლაძემ.

ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარის შეფასებით, ყველამ კეთილი უნდა ინებოს და დევნილთა პრობლემები მოაგვაროს.

ანტიკრიზული საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, თუ 6 თვეში მდგომარეობა არ გამოსწორდა, დადგება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელების და წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხი.

— როგორ შეიძლება ვაუჩერების პრობლემა იდგეს და როგორ შეიძლება პირველ რიგში დევნილებს არ მიეცეს ვაუჩერი? პირველ რიგში, მათ უნდა მისცემოდათ ვაუჩერი□ აღნიშნა ანტიკრიკრიზული საბჭოს თავმჯდომარემ.

გია თორთლაძის თქმით, მონიტორინგის შედეგები საქართველოს პრეზიდენტს გადაეგზავნება. მონიტორინგი საქართველოს მასშტაბით, დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტებში, 2011 წლის 23-30 მაისს ჩატარდა.

— მესამე წელია, რაც ვმუშაობთ და მონიტორინგის დროს, ასეთი რამ არასდროს არ ყოფილა, რომ 6 თვის მანძილზე არც ერთი პრობლემა არ არის მოგვარებული, — აღნიშნა გია თორთლაძემ.

რა შედეგები მოჰყვება პრეზიდენტთან გადაგზავნილ მასალებს, ეს ცოტა ხანში გაირკვევა. ამ დრომდე ანტიკრიზისული საბჭოს მიერ არც ერთი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი არ დასმულა, ყოველ შემთხვევაში, რომელიმე მინისტრის პოსტიდან წასვლა ანტიკრიზისული საბჭოს არ მოუთხოვია.

შედით საიტზე atb.ge

# ბურჯანაძე პოლიტიკური სივრციდან უნდა გაირიყოს!

შორენა კოწოწაშვილი

## ინტერვიუ მამუკა გიორგაძესთან

> „სახალხო პარტიის" ლიდერი მამუკა გიორგაძე მიიჩნევს, რომ რუსეთმა ოქრუაშვილი და ბურჯანაძე სააკაშვილის რეჟიმის გასაძლიერებლად გამოიყენა. მისი თქმით, რუსეთმა დაინახა, რომ აღარ აღმოჩნდა დამაჯერებელი მტრის ხატად ებრალიძე და გიორგაძე. ამიტომ საჭირო იყო უფრო მსხვილი ფიგურების გამოყვანა, თორემ თამაში იშლებოდა.



***— ბატონო მამუკა, დღევანდელი გადასახედიდან როგორ აფასებთ იმ საპროტესტო აქციებს, რომლებიც, ხელისუფლების მტკიცებით, რუსული სცენარი იყო? მართლა იყო ეს ყველაფერი რუსული ინტერესების გადათამაშება ქართულ პოლიტიკურ რეალობაში?***

— ქართულ პოლიტიკურ რეალობაში რაც მიმდინარეობს ამ ბოლო წლების განმავლობაში, თავიდან ბოლომდე რუსული სცენარია. პოლიტიკურ მოედანზე დაშვებული არიან მხოლოდ ის ჯგუფები, რომლებიც რუსულ პოლიტიკურ სივრცეში მოიაზრებიან ან როგორც პირდაპირი აგენტურა, ან როგორც გარკვეულად პრინციპების დეფიციტის მქონე პოლიტიკოსები, რომელთაც გარკვეულ მდგომარეობაში ჩაყენების შემდეგ იმ ნაბიჯს გადაადგმევინებ, რომელიც შენთვის მისაღებია. ბოლო წლების განმავლობაში, პრაქტიკულად, ერთსა და იმავე სცენარს ვაწყდებით. თითქოს მიმდინარეობს ორ იდეოლოგიურ მიმართულებას შორის ბრძოლა, როგორიც არის ე.წ. პროდასავლელები და პრორუსები. ერთი და იგივე ადამიანები, როდესაც ხელისუფლებაში არიან, პროდასავლური დროშით გამოდიან, აღმოჩნდებიან ოპოზიციაში და პრორუსულ დროშას აიღებენ ხელში. რამდენიმე თვეში ერთხელ, შიგადაშიგ ხდება მოვლენების გარკვეული დრამატიზება, იმიტომ რომ სანახაობა აუცილებელია მასისთვის, ხალხისთვის, რათა მათ გონებაში ჩაილექოს, თითქოს რაღაც ხდება. ეს იმისათვის, რომ საზოგადოება ჩაერთოს ამ პროცესში და არ იფიქროს ამ ჯადოსნური წრიდან გამოსასვლელ გზებზე. ჩვენც ასე ექვს თვეში ერთხელ ასეთი დრამატული მოვლენების წინაშე ვდგებით. ვიმეორებ, ბოლო წლების განმავლობაში, სამწუხაროდ, ყველაფერი რუსული სცენარის მიხედვით და პოლიტიკურ მოედანზე, ყოველ შემთხვევაში, ტელევიზიაში ძირითადი მასა, რაც გამოდის, ყველა ეს ადამიანი ამ დრამატულ სანახაობაზეა დაშვებული.

***— ეს — ერთი მხრივ. მეორე მხრივ, ხელისუფლება ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ის პროდასავლური ძალაა და საქართველოში ოკუპანტი ქვეყნის გეგმები ვერ განხორციელდება.***

— ხელისუფლებას აქვს ეს როლი: მან პროდასავლური ღირებულებების დამამკვიდრებლის ფუნქცია უნდა შეასრულოს. სანამ მათ ოპონენტებზე გადავიდოდეთ, უნდა დავსვათ კითხვა: რით გამოიხატება მათი პროდასავლურობა? პრაქტიკულად, ამ 8 წლის განმავლობაში არც ერთი დასავლური ღირებულება საქართველოში არ არის დამკვიდრებული. თვითმმართველობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა და ა.შ. როგორიც არის, მაგალითად, კონკურენტული გარემო, გამჭვირვალე ხელისუფლება, თავისუფალი მედია. მათ, პრაქტიკულად, არაფერი დაუმკვიდრებიათ. სააკაშვილი თავიდან ბოლომდე ისეთივე ტიპის სახელმწიფოს შექმნას შეეცადა, როგორიც დღეს არის რუსეთში. ერთმანეთის ალი და კვალი არიან პუტინი და სააკაშვილი. გემოვნებაც კი ერთნაირი აქვთ. ჩაიყვანა იმან შერონ სტოუნი, ჩამოიყვანა ამანაც. დაჯდა ის მანქანაზე და ეს დააპიარა, ამანაც გაიმეორა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ პიარს რუსეთშიც და საქართველოშიც ერთი და იგივე პიარკომპანია ახორციელებს და არა მარტო იქმნება ეს შთაბეჭდილება, ბუნებრივია, როდესაც იგივე შერონ სტოუნის ვიზიტი ისე იქმნება დაგეგმილი, რომ ერთი დღე მოსკოვში და მოსკოვიდან თბილისში, ბუნებრივია, თუ ერთი პიარკამპანიის ჯგუფი არ აკეთებს ამას, შეუძლებელი გახდება, რომ ასე დაამთხვიო ეს ერთმანეთს, ან შეთანხმებულად უნდა მოქმედებდეს ორი ჯგუფი. მეორე საკითხი: პრაქტიკულად, პროდასავლური დროშით სააკაშვილი რუსულ საქმეს ასრულებს. თუნდაც ბოლო პერიოდი ავიღოთ: რატომ შეიტანა სარჩელი ჰააგაში შეცდომით, ნუთუ კვალიფიკაციის დეფიციტთან გვაქვს საქმე? არა, ბატონო. სჭირდებოდა ეს სააკაშვილს ქვეყნის შიგნით პიარისთვის, ხოლო გარეთ რუსეთისთვის, რომელმაც ჰააგის სასამართლოზე საშუალება მიიღო, თავი ემართლებინა. ასევე როგორც პროტესტი და სარჩელი, რომელიც თითქოსდა მზადდებოდა ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის გადაწვის გამო და ეკოგენოციდზე იყო საუბარი, შემდეგ სააკაშვილმა აღიარა, რომ თურმე იქ ტანკები გვყოლია დამალული და დაბომბესო. ბევრი სხვა თემა ჯდება რუსულ ინტერესებში, როგორიც არის, მაგალითად, ეკონომიკის მთლიანი გადაცემა რუსეთისთვის, რუსეთის სპეცსამსახურების პარპაში საქართველოს ტერიტორიაზე. თუნდაც აგვისტოს ომი რას ემსახურებოდა და ხელისუფლების განცხადება, რომ ცხინვალი აღგვილია პირისაგან მიწისა, რომ შენობა აღარ არის მთელი. ეს მაშინ, როდესაც, პრაქტიკულად, 3 წელი გავიდა და ცხინვალში მსხვერპლი არ არის დაფიქსირებული. ეს სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ უზრუნველყოს რუსეთი საბაბით, რათა რუსეთმა გაგვლახოს ჩვენ, ქართველები, წაგვართვას ტერიტორიები, გააკეთოს ანტიქართული ქმედებები. ამ საბაბით რუსეთს სააკაშვილის რეჟიმი უზრუნველყოფს, ხოლო გალახული გამოდის ქართველი ხალხი.

***— მოდით, ოპოზიციაზე ვისაუბროთ. რას იტყვით ბურჯანაძისა და ქართული პარტიის მოქმედებებზე და ოქრუაშვილის განცხადებებზე, რომლებიც აქციის დღეებში გაკეთდა?***

— ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ ეს ადამიანები ხელისუფლების ნაწილი არიან და რუსების დავალებებს მაშინაც ასრულებდნენ, როცა ხელისუფლებაში იყვნენ. იგივე ირაკლი ოქრუაშვილი თავისი მგზნებარე გამოსვლებით, როცა ყვიროდა, ფეკალიებსაც კი მიირთმევენ რუსებიო, მაშინაც რუსულს საქმეს აკეთებდა და რუსებს აძლევდა საშუალებას, ქართველები გაელახა, საშუალებას აძლევდა, რომ ქართული პროდუქცია არ გასულიყო რუსულ ბაზარზე. ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება, რუსეთი ებრძოდეს საქართველოს ხელისუფლებას და ქართველებისთვის ჩაკეტოს შესასვლელი სივრცე და გააკეთოს სავიზო რეჟიმი. ელემენტარულად, როგორც შეიძლება, მან დეპორტაცია გაუკეთოს მოსკოვში მომუშავე ქართველებს და ეს ხალხი, პრაქტიკულად, მოსკოვში პრორუსული განწყობით ან რუსეთის მიმართ ლოიალური განწყობით, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმიტომ რომ ლუკმა-პურს შოულობენ რუსეთში, გახადოს სააკაშვილის მომხრე. ეს ყველაფერი ხომ შეთანხმებით ხდება. ელემენტარულად, თუ მთლად ერთუჯრედიანი არსებები არა ვართ, ეს ყველაფერი ხომ იოლად აღსაქმელია. თუ სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა, მან ქართველი ხალხი მოკავშირედ უნდა გაიხადოს. ამ დროს, პირიქით, ქართველ ხალხს სცემს და ამ ხალხს არ აძლევს ფუნქციონირების საშუალებას მისსავე ტერიტორიაზე. ქართველ ხალხს ართმევს ტერიტორიას საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში. ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს ნინო ბურჯანაძის რადიკალური განცხადებები რუსეთის პოზიციასთან დაკავშირებით. ძალიან კარგად გვახსოვს დევნილთა მისამართით ნათქვამი სიტყვები — რუსეთის აგენტებო. ხომ არ დაგვავიწყდა, რომ 7 ნოემბერს დარბევის დროს ბურჯანაძის სიტყვები გაიმეორეს 2011 წლის დარბევის დროს დღეს ხელისუფლებაში დარჩენილმა ადამიანებმა. ეს ერთი და იგივე ხალხია. ეს ხალხი ემსახურება რუსეთის ინტერესებს, ემსახურება რუსულ დავალებას. მათი მხრიდან ხან არის რუსეთის ლანძღვა, ხან გინება, იმის მიხედვით, თავად რუსეთს როგორ აწყობს. ეს ძალიან კარგად იცის სააკაშვილმა და ძალიან კარგად იცოდა, რომ თვითონაც, ოქრუაშვილიც, კიწმარიშვილიც, ბურჯანაძეც და სხვებიც რუსეთმა დასვა ერთ გუნდში და მოიყვანა ხელისუფლებაში. მითხარით ერთი, რომელმა მათგანმა ვერ დაინახა იგორ ივანოვის ვიზიტები 2003 წელს მათ მხარდასაჭერად, რომელი არ იყო საქმის კურსში — კიწმარიშვილი, ოქრუაშვილი, ბურჯანაძე თუ სააკაშვილი?! შემდეგ რუსეთს დასჭირდა და ესენი გაყო. აღარ აღმოჩნდა დამაჯერებელი მტრის ხატად ებრალიძე და გიორგაძე. საჭირო იყო უფრო მსხვილი ფიგურების გამოყვანა, თორემ თამაში იშლებოდა.

***— როგორ იშლებოდა?***

— იმით, რომ ოპოზიციის ადგილს დაიკავებდნენ ქართული ცნობიერების მატარებელი ადამიანები, რეალური მოწინააღმდეგეები სააკაშვილისა. ამიტომ სასწრაფოდ საჭირო გახდა შევსება ე.წ. დამაჯერებელი პრორუსული ფლანგის, რომ სააკაშვილის ხელისუფლება განამტკიცონ. ამ როლისთვის გამოიყენეს ოქრუაშვილიც, ბურჯანაძეც და სხვებიც. პრაქტიკულად, რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია. მიხეილ სააკაშვილი დღესაც საკმაოდ მყარად ზის თავის სკამზე. ბურჯანაძე, ოქრუაშვილი და მსგავსი ადამიანები მილიონი ჰყავს რუსეთს და ძალიან კარგად იცის, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ აუხტება, წინააღმდეგობას ვერ გაუწევს და დღესაც რუსეთის მაქებრები იქნებიან. აი, ეს თამაში მიმდინარეობს. ვინც ამ თემაზე არ საუბრობს ან ხელს უწყობს ამ ტენდენციას, პრაქტიკულად, ის ან აგენტურაა, ანდა ელემენტარულად ერთუჯრედიანი არსებები არიან.

***— ანუ ხელისუფლება მართალია, როცა ბურჯანაძესა და ოქრუაშვილს რუსული ინტერესების გატარებაში ამხელს?***

— ამ ნაწილში მართალია, მაგრამ თვითონაც ხომ რუსულ ინტერესებს ახორციელებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კარგი, პრორუსულ ოპოზიციას არ აინტერესებს, მაგრამ 26 მაისს პროდასავლელ ოპოზიციას არ უნდა აინტერესებდეს ძველი დისიდენტების მოსაზრება, ეროვნული მოძრაობის წევრთა მოსაზრება, იმ ადამიანების მოსაზრება, რომლებიც დასავლურ ღირებულებებს ჯერ კიდევ საბჭოთა იმპერიის საზღვრების დროს ამკვიდრებდნენ? ნუთუ არც ერთ მათგანს არ აინტერესებს ამ ადამიანების გამოცდილება? ერთხელ მაინც ხომ უნდა იფიქრონ, მოდით, შიდა ქართული კონსენსუსი გავაკეთოთ. დაქირავებულ ექსპერტებს რომ აყვირებს ტელევიზორში, ამ ქვეყანაში არიან ადამიანები, კარგით, მამუკა გიორგაძეს თავი დავანებოთ, ელემენტარულად, თამარ ჩხეიძე, მარიამ ბაღდავაძე, ნოდარ ნათაძე და სხვები. ეჭვის შეტანა მათ ცხოვრების წესსა და პრინციპებში შეუძლებელია. რატომ არ სცადეს ამ ადამიანებთან ურთიერთობის გარკვევა? იმიტომ რომ სწორედ ეს ადამიანები ამხილეს მათ ხელისუფლებასთან თავიანთ პრორუსულ ქმედებებში. მათ ვერ ეტყვის, რუსული აგენტურა ხართო და ეს ხალხი ეტყვის და ნათქვამიც აქვთ ათასჯერ. რატომ არ ხდება იგივე მასმედიით ჩვენი, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა პოზიციების დაფიქსირება იმ ტირაჟით, რა ტირაჟითაც ხდება იგივე ოქრუაშვილის, კიწმარიშვილისა და ბურჯანაძის გამონათქვამების ტირაჟირება? დღესაც ხელს არავინ უშლის არც ოქრუაშვილს, არც სუბარს, არც კიწმარიშვილსა და არც ბურჯანაძეს, რომ ტელეეთერით გააკეთონ მკვახე განცხადებები, რომ ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ. თუ ბრძოლა უნდოდათ, იქ არ იყვნენ? არა, ბატონო, მათ დღესაც ფუნქცია აქვთ მინიჭებული ხელისუფლების მხრიდან, რომ ეს სივრცე უნდა შეავსონ. ამ ოპოზიციურ სივრცეში საზოგადოებამ სხვა ვერავინ ვერ უნდა დაინახოს, რათა მან ანტურაჟად მიიღოს მონაწილეობა ამათ ბრძოლებში. ელემენტარულად, ლიდერების უმეტესობას არაფერი დაშავებია დარბევის დროს და გაილახა პატიოსანი ხალხი. დღეს კურტანიძე და ჯაჭვლიანი ციხეში სხედან, 100 კაცზე მეტი ციხეში ზის. გაილახნენ ადამიანები, რომლებიც მგრძნობიარე გულით გავიდნენ ქვეყნისთვის საბრძოლველად და რატომღაც დანარჩენებს არაფერი მოსვლიათ. დღესაც ძალიან კარგად გამოდიან ტელევიზიებით და დღესაც უქმნიან იმ შთაბეჭდილებას, რომ თითქოს ვინმე დასდევს ნინო ბურჯანაძეს ან მის ქმარს, ან თავის დროზე როგორც გააპარეს ოქრუაშვილი. არავინ ჰკიდებს ხელს დანარჩენებს, რომლებიც იმდენად არიან კორუფციასა და უკანონობაში გასვრილი, რომ ყოველგვარი პოლიტიკური ქვეტექსტების გარეშე სრულიად შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. მაგრამ არა, სააკაშვილს ასეთი ოპონენტი სჭირდება. რუსეთს სჭირდება აქ ასეთი ხელისუფლება და ასეთი ოპოზიცია. ეს ყველაფერი კი მიმდინარეობს რუსთაველის მოედანზე.

***— ხელისუფლების პარალელურად, ნინო ბურჯანაძეს არ ეკისრება 26 მაისის მოვლენებზე პასუხისმგებლობა?***

— რაოდენ უარყოფითადაც არ უნდა ვიყო ბურჯანაძის მიმართ განწყობილი, 26 მაისი თავიდან ბოლომდე ხელისუფლების კისერზეა. აქ პოლიტიკური პასუხისმგებლობა სხვაზე არ არის. ხელისუფლებამ შეგნებულად გადაწყვიტა, 26 მაისს ეჩვენებინა ძალა და 26 მაისს მან ნინო ბურჯანაძეს კი არ გადაუარა, მან ქართველ ხალხს გადაუარა, თორემ ბურჯანაძე დღესაც თავს ძალიან კარგად გრძნობს. მან ქართველი ხალხი გალახა. ბურჯანაძისა ან მისი ოჯახის წევრების დაჭერა რომ სდომებოდათ, იქვე დაიჭერდნენ.

***— რატომ გადავიდა ხელისუფლების აგრესია კურტანიძესა და სოსო ჯაჭვლიანზე?***

— იმიტომ რომ კურტანიძე გულით იბრძვის. კურტანიძე არ თამაშობს და ის ვაჟკაცია. კურტანიძე იბრძოდა და, ელემენტარულად, ის ადამიანები, რომლებიც მუშტებზე იყურებოდნენ და ამბობდნენ, აბა, მოვიდნენ და რამე გაბედონო, ისინი გაიპარნენ იქიდან. კაი, ქალზე არა მაქვს ლაპარაკი, მაგრამ მისი ქმარი და შვილი სად იყვნენ მაშინ? რატომ გაიპარნენ რუსთაველიდან? კურტანიძემ იომა. სოსო ჯაჭვლიანი ახლაც ომობს, შიმშილობას აცხადებს და საავადმყოფოშიც არ შეწყვიტა შიმშილობა. ამ დროს ბურჯანაძე პატრონებთან დადის კიევში და თავს კარგად გრძნობს. საზოგადოებამ უნდა დაინახოს, რომ ბურჯანაძისნაირი ლიდერების დრო დამთავრდა. დამთავრდა ხელოვნურად შეფუთული ფუყე ლიდერების დრო. დამთავრდა ე.წ. ხელისუფლებიდან მოწოდებული სატელევიზიო ლიდერებისა და ტელემებრძოლების დრო. რეალური მებრძოლები უნდა გამოვიდნენ უკვე ქუჩაში. მათ უნდა აიღონ პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა კურტანიძისა და ჯაჭვლიანისნაირებმა უნდა აიღონ და არა იმ ხალხმა, რომლებიც მხოლოდდამხოლოდ გადარჩენაზე ფიქრობენ და ახლა ლექციებს ყვებიან, თავიანთი უნიათობა რომ გაამართლონ. ბურჯანაძის პასუხისმგებლობა უნდა იყოს ასეთი, ის საერთოდ უნდა გაირიყოს პოლიტიკური სივრციდან. მისნაირები აფუჭებენ საქართველოში პოლიტიკურ გარემოს. ვინც ბურჯანაძისა და სააკაშვილის პასუხისმგებლობას ერთ სიბრტყეზე დააყენებს, ის ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება, რადგან ბურჯანაძის ფაქტორით შეეცდება, სააკაშვილის პასუხისმგებლობა შეამციროს.

# მიხეილ სააკაშვილმა სამეგრელოში მოცვის პლანტაცია დაათვალიერა

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში ახლად გააშენებული მოცვის პლანტაცია დაათვალიერა. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, გადამხმარი ჩაის პლანტაციების ადგილას ახალი მეურნეობა — მოცვის პლანტაცია გაშენდება და საქართველო ევროპაში მოცვის ექსპორტიორი ქვეყანა გახდება.

სააკაშვილმა ახლად გაშენებულ პლანტაციაში მოცვის ხეც დარგო და დასძინა, რომ ამ პლანტაციის მსგავსი ბევრი პლანტაცია უნდა გაშენდეს.

— ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი დაზიანებულია და იმის ლოდინს, სანამ ბოლომდე გახმება ეს ბუჩქები, სჯობს, ახალი მეურნეობა გაშენდეს. სახელმწიფომ სწორი გზა ამოარჩია. უნდა შევქმნათ სტანდარტები, თუ რა არის უფრო მომგებიანი სოფლის მეურნეობისთვის. მოცვის მეურონების განვითარებას ხელს უწყობს გასაღების გარანტირებული ბაზრები და კლიმატი. ამასთან, ამ მეურნეობის საშუალებით ბევრ ადამიანს ელემენტარული შემოსავალის წყარო გაუჩნდება. მე ჩემს საპარლამენტო გამოსვლაში ბევრი ვისაუბრე სოფლის მეურნოების განვითარების მნიშვნელობაზე და დანაპირებს ყოველთვის ვასრულებ, —



განაცხადა მოცვის პლანტაციაში მისულმა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, პირველი მოსავლის ექსპორტი 2013 წლისთის გახდება შესაძლებელი.

**მედიანიუსი**

# ბურჯანაძე დარბევის დროს იქ რომ ყოფილიყო, დაიჭერდნენ

გულიკო ბალა ე

***— ბატონო ნოდარ, ამას წინათ თქვენ გარკვეული პროგნოზები გააკეთეთ ბურჯანაძისა და „სახალხო კრების“ აქციასთან დაკავშირებით და განაცხადეთ, ქუჩაში ოპოზიცია გაისვრისო. რეალურად ოპოზიციამ კი არა, ხელისუფლებამ გაისროლა.***

— მე ცოტა სხვანაირად ვთქვი. მე ვთქვი, რომ ბურჯანაძის ჯგუფი და სააკაშვილი ერთად გაისვრიან, ერთად მოახდენენ ქუჩაში სროლის ორგანიზაციას. მათ ეს მართლაც მოახდინეს. სრულიად ცარიელ ადგილზე დახოცეს ხალხი.

***— უკაცრავად, მაგრამ ამ შემთხვევაში ბურჯანაძეს არ გაუსვრია.***

— ბურჯანაძემ დატოვა ხალხი იქ, სადაც მისი დატოვება არ შეიძლებოდა, იმიტომ რომ აბსოლუტურად უპერსპექტივო იყო. ბურჯანაძე კი გაეცალა იმ ადგილს, მაგრამ ხალხი იქ დატოვა. ეს არის დანაშაული.

***— თვითონ ბურჯანაძე აცხადებს, რომ ის კადრები, რომლებიც აჩვენეს ე.წ. ნაციონალური არხებით, უფრო ადრეა გადაღებული, ვიდრე ბურჯანაძე რეალურად წავიდა იქიდან.***

— ეს დაუჯერებელია, რადგან, ბურჯანაძე დარბევის დროს იქ რომ ყოფილიყო, მას დაიჭერდნენ. ბურჯანაძის ქმარსაც დაიჭერდნენ, იქ რომ ყოფილიყო. შეუძლებელია, რომ იქ მათთვის ხელი არ ეხლოთ. მერე, კი ბატონო, მათ ფულს გამოართმევდნენ და გაუშვებდნენ.

***— თვითონ ბურჯანაძე შემდეგ რატომ არ დაიჭირეს?***

— იმიტომ რომ ამოცანა უკვე შესრულებულია. ბურჯანაძემ გააკეთა ყველაფერი, რომ ეს შედეგები დამდგარიყო. სახელდობრ: ჯერ ერთი, სრულიად უაზროდ (გარდა იმისა, რომ არავითარი პროგრამა არა აქვს) გადაინაცვლა ტელევიზიიდან პარლამენტის წინ.

***— ტელევიზიასთან დგომას რა აზრი ჰქონდა?***

— არც პარლამენტის წინ დგომას ჰქონდა აზრი.

***— საერთოდ, აქციები იმართება სახელმწიფო დაწესებულებების და არა ტელევიზიების წინ. იქ იმიტომ მივიდნენ, რომ სატელევიზიო ეთერი მოეპოვებინათ. ის მიზანი მიღწეული იყო და უკან გადმოინაცვლეს.***

— ჩემი პროგნოზი მიდის იქით, რომ ეს ერთობლივი შეთქმულება, რომელშიც არიან პუტინი, სააკაშვილი და ბურჯანაძე ერთად, მხოლოდ პირველ ეტაპზე ჩავარდა იმის გამო, რომ ხალხმა სიბრძნე იხმარა და უალრესად საეჭვო აქციაზე არ გავიდა. ამიტომ მათ ხალხი კი დახოცეს (რაც დაგეგმილი იყო), მაგრამ ამას საკმარისად მასობრივი ფონი არ ჰქონდა.

***— მასობრივი? მაინცდამაინც 5 ათასი კაცი უნდა დაეხოცათ?***

— არა. იმ რაოდენობის აქციის პოპულარულობის ზომამ, რომელიც ბურჯანაძის აქციას გააჩნდა, ვერ იკმარა იმისათვის, რომ კრებამ მიმართოს პუტინს, მობრძანდით და დაგვიცავითო. სააკაშვილის ხელისუფლება შეეცდება, იმ რამდენიმე ათეულ დაკარგულ ადამიანში, რომელიც, რა თქმა უნდა, მის ხელშია, თუ ცოცხალია, კიდევ დახოცოს ხალხი და გამოფინოს ქუჩაში. ამით ხალხი გაამწაროს და გამწარების ფონზე ხალხი ისევ ქუჩაში გამოიყვანოს. ჯერჯერობით ამ პირველი ეტაპის განხორციელებაზე ამ სამეულს (პუტინს, ბურჯანაძესა და სააკაშვილს) ხელი არ აუღია. ეს არის ყველაზე საშიში.

***— ბატონო ნოდარ, ასე დარწმუნებული რატომ ხართ, რომ დახმარებისთვის პუტინისადმი მიმართვა იგეგმებოდა?***

— სხვა ლოგიკას ამ მოვლენათა განვითარებაში ვერ ვხედავ. ამას უკვე რამდენიმე თვეა ვამბობ. ბურჯანაძემ რომ პირველად ამაზე რომ დაიწყო ლაპარაკი და სიტყვა „რევოლუცია“ ახსენა, მაშინვე დავსვი ეს დიაგნოზი, რომ ეს კეთდება იმისთვის, რომ პუტინი იქნეს მოწვეული. კრებამ წარმომადგენლობითი დაირქვა. რას ნიშნავს წარმომადგენლობითი? ჩემი მოლოდინის საფუძველი ეს არის, ამიტომ მე ამას ძალიან დიდი შიშით მოველი.

***— თქვენ ბრძანეთ, საკმარისი რაოდენობის ხალხი არ იყო გამოსული მასობრივად, რომ ბურჯანაძესა და „სახალხო კრებას“ დასახმარებლად პუტინისთვის მიემართაო. თუ ასეა, ხელისუფლებამ ამისთვის საკმარისი სადამსჯელო ღონისძიებები არ გაატარა რუსეთის ასამოქმედებლად?***

— არა. სირიაში რუსეთის მარიონეტი კადაფი პირდაპირ ხოცავს და ხოცავს თავის ხალხს, სანამ 1000-ს არ გადააჭარბა, არავინ დაძრა, მოდი, ამ სირიელებს ვუშველოთო. 1200 დაღუპული რომ გამოაცხადეს, შემდეგ თქვეს, გაეროს სხდომაზე გავიტანოთ ეს საკითხი და ზომები მივიღოთო. ასეთ ოპერაციებში რაოდენობა გადამწყვეტ როლს თამაშობს. საერთოდ, თანამედროვე პოლიტიკაში პიარი უდიდესი ფაქტორია.

***— მე მგონია, ხელისუფლება უფრო პიარს იკეთებს ე.წ. ბუტაფორულ გადატრიალებებზე საუბრით და ამით ხალხის დამონებას ცდილობს, ვიდრე რეალურად რაიმე გადატრიალების მცდელობას ჰქონდეს ადგილი ამ ქვეყანაში.***

— ხელისუფლებაში არავის წამოსცდენია, პუტინი დაგვიწყებს დაშინებას იმისათვის, რომ კონფედერაციას დავეთანხმოთო. ეს არსად თქმულა. ეს მხოლოდ ჩემსა და თქვენს საუბარში ითქვა და პატარა წერილი დავბეჭდე „რეზონანსში“.

***— 26 მაისს მომხდარი და კონფედერაციასთან დაკავშირებით პუტინის მიერ საქართველოს ხელისუფლების დაშინება ერთმანეთთან რა კავშირშია?***

— იმისთვის, რომ სააკაშვილმა გაბედოს კონფედერაციაზე დალაპარაკება (ამ აშკარა სახელმწიფო ღალატზე), აუცილებელია, მას ხელში მიეცეს არგუმენტი, რუსეთი მოდის და შეგვჭამსო. ამ არგუმენტის გარეშე სააკაშვილი ამ სიტყვას ვერ იტყვის, რაც არ უნდა მოღალატე და ნაძირალა იყოს. ამიტომ პუტინმა უნდა გაითამაშოს, რომ საქართველოსთან ომს აპირებს. სხვათა შორის, სოსო ცინცაძე რომ გამოდის და პატეფონის ფირფიტასავით ატრიალებს, რუსეთი ომისთვის ემზადებაო, ისიც ამ მიზნის სამსახურში დგას.

***— თუ რუსეთი ომისთვის რეალურად ემზადება და პოლიტოლოგი ამას ამბობს...***

— რუსეთი ომისთვის კი არ ემზადება, ფახიფუხი ჰყოფნის. რუსეთი რეალურად ომისთვის არ ემზადება. რუსეთს უნდა, სააკაშვილს მისცეს საშუალება, რომ თქვას, რუსეთი ომს გვიპირებსო. ეს არის პუტინის მიზანი.

***— ხელისუფლებამ 26 მაისს ხალხს ხოცვა-ჟლეტა რომ მოაწყო...***

— ხელისუფლებას 26 მაისის მოვლენებში ბრალად ადევს ორი დანაშაული. ერთი — ეს არის სახელმწიფო ღალატი, ანუ




პუტინის სცენარში მონაწილეობა პროვოკაციული მიზნით, ხოლო მეორეა დანაშაული ადამიანობის წინააღმდეგ, ანუ მიწაზე დაგდებული ხალხის დახოცვა. ეს ორი დანაშაული აქვს სააკაშვილს. ბურჯანაძეს ერთი დანაშაული აქვს — სახელმწიფო ღალატი, ანუ პუტინის მიერ დაგეგმილი სცენარის შესრულებაში მონაწილეობა საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ. ეს არის ამ ამბის თავი და ბოლო.

***— ისე, ბურჯანაძეს გარკვეულწილად პიარი არ გაუკეთა ხელისუფლებამ? თუკი აქამდე არ ენდობოდნენ ბურჯანაძეს და მის აქციაზე ბევრი ხალხი არ მივიდა, ახლა უფრო მეტი ადამიანი არ მიემხრობა?***

— არა, ხალხი მაინც არ მივა. ხალხი სულელი არ არის. ამიტომაც, იმ მიზნით, რომ ხალხი გამოიყვანონ ქუჩაში, სულ ერთია, ბურჯანაძე წარუძღვება თუ ყურჯანაძე. მე ვშიშობ, რომ სწორედ ამისთვის კიდევ გაამრავლებენ მსხვერპლს, ანუ დაკარგულ ადამიანებს დახოცავენ. ამისი მეშინია. ჩემი ყველაზე სავალალო პროგნოზი ეს არის.

***— ე.ი. ხელისუფლება თანდათან საშიში ხდება...***

— სააკაშვილის ხელისუფება მუდამ საშიშია. ეს არის მტრის აგენტურა, სისხლიანი, დაუნდობელი და, ამავე დროს, სულელი ხელისუფლება.

***— მაშინ დგება საკითხი მისი ყველა მეთოდით გაგდების თაობაზე, ანუ რევოლუციაც არ არის გამორიცხული.***

— აქ არის მსჯელობის ორი პოლუსი, რომლის შუა ადგილი ჩვენთვის ცარიელია, სპეციალისტებისთვის — არა. ყველა ფილოსოფიურ მოძღვრებაში, ყველა ეთიკურ მოძღვრებაში, ყველა სახელმწიფო თეორიასა და პოლიტიკურ მოძღვრებაში აღიარებულია, რომ თუ ხელისუფალი, თვით მირონცხებული მეფეც კი ხალხის წინააღმდეგ მიდის, მაშინ ხალხს აქვს აჯანყების უფლება. ფილოსოფიურად ამ ჭეშმარიტებაში ეჭვი არავის ეპარება. ადამიანის უფლებათა ნორმებშიც ეს ზოგან ნათქვამია და ზოგან იგულისხმება, რომ ხალხს აჯანყების უფლება აქვს კონკრეტულ შემთხვევებში. მეორე მხრივ, სახელმწიფოს აქვს სისხლის სამართლის კოდექსი. ჩვენც გვაქვს ჩვენი კოდექსი. ეს კოდექსი კატეგორიულად კრძალავს ყოველგვარ ძალადობრივ დაპირისპირებას ხელისუფლებასთან. სანამ არ დაამტკიცებ, რომ ხელისუფება ყალბია და ძალადობით მოსული, მანამდე ეს კანონი მოქმედებს.

***— ისე, ბურჯანაძეზე მეტად ვის შეუძლია თქვას, რომ ეს ხელისუფლება გაყალბებით არის მოსული?***

— თვითონ როგორ არის მოსული?

***— რითაც არის მოსული, ბურჯანაძესაც ხომ შეუძლია თქვას, მე იქ ვიყავი მაშინ და ვიცი, რაც მოხდა, ანუ თავისი თავიც ამხილოს და თან თქვას, რომ იქ იყო და იცის, როგორი გაყალბებით არის მოსული სააკაშვილი ხელისუფლებაში?***

— რა თქმა უნდა, ჩემ მიერ წარმოდგენილი ორი პოზიციის შუაშია ძალიან ფაქიზი, ძალიან ზუსტი, ძალიან გააზრებული იურიდიული კონცეფცია იმისა, რა გზებით და რა დასაბუთებით უნდა დაამტკიცო ის, რომ ამ შემთხვევაში ადამიანის უფლებების დაცვის ნორმები, რომლებიც აღიარებულია მსოფლიოს მიერ, იძლევა საშუალებასა და უფლებას, ამა და ამ წესით იხმაროს ძალა ამ ხელისუფლების შეცვლაში. ამას მე ვერ დავასაბუთებ, იმიტომ რომ სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ ამის დასაბუთება შესაძლებელია. როცა ეს ორი ნორმა (ერთი — უფლებადაცვითი სისტემის ნორმა და მეორე — სახელმწიფოს შიგნით მოქმედი უზურპატორული ხელისუფლების მიერ გამოცებული კანონის ნორმა) ერთმანეთს უპირისპირდება, უპირატესობა, რა თქმა უნდა. პირველის მხარეზეა, მაგრამ ამას დასაბუთება სჭირდება, რომელიც მე არ შემიძლია.

***— იმ პოლიტიკურმა სპექტრმა, რომელიც არ მონაწილეობდა 26 მაისის აქციაში და არ მოხვდა დარბევებში, თავისი პოზიცია შემდეგ დააფიქსირა. მაგალითად, ე.წ. რვიანის პარტიებმა განცხადება გააკეთეს ბრძოლის ახალი ეტაპის დაწყების თაობაზე. თქვენ როგორ უყურებთ მათ გეგმებს და როგორ აფასებთ მათ ბრძოლას?***

— ეგენი არიან გონებით სუსტები და (მაპატიეთ) ნებისყოფით იმპოტენტები. არც ერთი პოლიტიკოსი არ არის. მაგათ პოლიტიკაში საქმე არ აქვთ.

***— რატომ?***

— ბუნებამ ეგრე გააჩინა და იმიტომ. მათი გაჩენის პროცესში ბუნებამ ძალიან დიდი ეკონომია გააკეთა.

***— მათ პოლიტიკურ პოზიციებზე რომ ვისაუბროთ, რაში არ ეთანხმებით — ბურჯანაძის აქციას მხარი რომ არ დაუჭირეს თუ სხვა საკითხში?***

— ჯერ ადრინდელ კითხვას ვუპასუხებ და მერე ამას გეტყვით. ბურჯანაძის გამოსვლამ, უნდოდა თუ არ უნდოდა, საქართველოს პატრიოტების წინ დააყენა ძალიან მძიმე კითხვა. კითხვა ასეთია: მე მინდა ამ ხელისუფლების გადაგდება, მიმაჩნია, რომ ხელისუფლება არის გადასაგდები (ეს ბურჯანაძის პოზიციაა). თქვენ ჩემს გზას იწუნებთ. მაშინ დადეთ მაგიდაზე თქვენი გზა. ამიტომ მე, როგორც ქართველი პატრიოტი, მოქალაქე და როგორც ერთ-ერთი პატრიოტული პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, ვალდებული ვარ, ამაზე პასუხი მქონდეს. საჭიროა ძალის შექმნა, ანუ ადამიანთა მოკრება, დარაზმვა და გაწვრთნა.

***— ნინო ბურჯანაძემ თითქოს გაითვალისწინა თქვენი ეს რჩევები და გარკვეული ძალა მან შექმნა რაზმის სახით.***

— არავისი არ მეშინია და სრულიად გულწრფელად გეტყვით, რომ ამ არასანდო ადამიანების მიერ მოწყობილ სრულიად უვარგის და უპერსპექტივო აქციაში, რომელიც გაკეთდა ბურჯანაძისა და „სახალხო კრების“ მიერ, არის ერთი არათუ ნათელი წერტილი, არამედ სივრცე...

***— თუმცა, შეიძლება იმ აქციაზე მისული ადამიანების დიდი ნაწილი სრულიად გულწრფელად იყო დაინტერესებული საქართველოში ვითარების ცვლილებით.***

— დიახ. ამ უპერსპექტივო აქციაში არის ნათელი სივრცე. ეს ის არის, რომ შეიკრიბა ჯგუფი ახალგაზრდებისა, რომლებმაც აჩვენეს ხარისხი ბრძოლისუნარიანობისა. ეს გაკეთდა. ამის შემდეგ ვინც საერთოდ ილაპარაკებს ქართველი მასის პოტენციალზე (რა შეუძლია და რა — არა), ის ამას ანგარიშს გაუწევს. რა თქმა უნდა, მისი ხარისხი სასურველისაგან ძალიან შორს იყო, მაგრამ, რაც შეეხება ძირითად პირველ საწყისს ადამიანის ბუნებაში, გულსა და სულში, ეს დემონსტრირებულ იქნა. ამიტომ ამით ეს აქცია განსხვავდება ყველა წინა აქციისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მე ბურჯანაძესა და მის ჯგუფზე აბსოლუტურად უარყოფითი შეხედულებისა ვარ, ამას სრულიად ხაზგასმითა და პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ეს არის ნათელი არა მარტო წერტილი, არამედ მოზრდილი სივრცე ამ აქციაში. რაც შეეხება პოზიტივს, ჩვენი, როგორც ქვეყნისა და როგორც ადამიანების თავდამკვიდრების წყარო დედამიწაზე არის მხოლოდ ჩვენი ორგანიზმი, ჩვენი შინაგანი რესურსი. სხვა ბაზა ჩვენ არ გვაქვს, ამიტომ საქართველოში ჩვენ უნდა შევქმნათ დიდი რაოდენობა მომზადებული, მყარი, გაწვრთნილი და გასაქცევად არგანწყობილი ადამიანებისა. დღეს ადამიანი უნდა მოვამზადოთ საზოგადოებრივადაც და ფიზიკურადაც. რა თქმა უნდა, ეს მომზადება იარაღით ვერ გაკეთდება. ეს უნდა კეთდებოდეს უიარაღოდ, მაგრამ, თუ დაგჭირდა, თუ სახელმწიფოს დასჭირდა, იარაღის შოვნასა და შეძენას დღეები და კვირები სჭირდება, ადამიანთა მომზადებას კი — თვეები. ამიტომ ადამიანები უნდა მოამზადო ყოველგვარი იარაღის გარეშე. ამ ძალის ყოლის პირობებში შეგიძლია დააკომპლექტო აქციის დაცვის ჯგუფიც, შეგიძლია დააკომპლექტო სამხედრო ძალაც, თუ, ვთქვათ, ქვეყანა დარჩა დაუცველი და ქვეყნის დაცვა გჭირდება. ეს არის პირველი აუცილებელი პირობა. მეორე — მოწინააღმდეგე არის ძალიან საშიში, მაგრამ ძალიან სუსტი.

***— ხელისუფლებაზე საუბრობთ?***

— დიახ. მისი ძალაუფლების სტრუქტურა შემდეგია: ჯერ ერთი, მოსახლეობაში არ არსებობს საშუალო კლასი, უმეშევრობაა. მოსახლეობა მთლიანად დამოკიდებულია სხვის მიერ მოწოდებულ ლუკმაზე. ამ პირობებში ათკეცად ძლიერდება შიში, რომელიც წარმოდგება იმ ადამიანთაგან, რომლებიც მზად არიან, თუ საკმარისი თანხა გადაუხადეს, დაცხრილონ დანარჩენი საქართველო. ასეთი ადამიანების პროცენტი საქართველოში, სამწუხაროდ, რამდენჯერმე აღემატება ნებისმიერ სხვა ერში არსებულ პროცენტს. ესენი რამდენიმე ათასია. შეიძლება, 15-20 ათასიც იყოს. სააკაშვილის ხელისუფლება ემყარება მხოლოდ-დამხოლოდ ამ ადამიანებს. ის ამ ადამიანებს კრებს, როგორც მტვერსასრუტი, ისე იწოვს ამ ადამიანებს მთელი საქართველოდან და თავის რაზმებს ქმნის. რაც დრო გავა, უფრო მეტს შეკრებს, იმიტომ რომ საქართველოს მოსახლეობის მთელი პოტენციალი ამ მიმართულებით ამოწურული არ არის. ამ ადამიანებზე ზემოქმედების ერთადერთი საშუალება არსებობს. ეს არის შიში. ამიტომ, როდესაც ადამიანი გამოგყავს აქციაზე და ეუბნები, ჯერ ერთი, მეც შენთან ერთად ვარ რისკის ქვეშ, მეორე, შენ თუ მოგკლავენ, მე შენს მკვლელს რაღაცით გადავუხდიო, ამის გარეშე აქციაზე ადამიანის მოწვევის უფლება არ გაქვს. ეს გადახდა უნდა ხდებოდეს არა მარტო იმ ადგილზე, სადაც ეს დარბევა ხდება, არამედ იმ ადგილის გარეთაც. ამის ორგანიზებაა საჭირო. სპეცრაზმებში შეშვებული უნდა გყავდეს შენი ხალხი, უნდა იცოდე მათი ასავალ-დასავალი, უნდა იცოდე, ვინ არის დამნაშავე. მიტინგის ორგანიზატორები რომ პასუხისმგებლობის მქონე ადამიანები ყოფილიყვნენ, მათ ექნებოდათ წინასწარ აწყობილი მექანიზმი, რომ გაეგოთ, ვინ გასცა ბრძანება ამ ადამიანების დახოცვისა და ვინ არის შემსრულებელი.

***— ვინმეს ეჭვი შეაქვს იმაში, რომ ასეთ ბრძანებას პირველი გასცემდნენ? არავის ეჭვი არ ეპარება საქართველოში, რომ აქციის დარბევის ბრძანება შს მინისტრმა და პრეზიდენტმა გასცეს. ამას გაგება რად უნდა?***

— რასაკვირველია, მაგრამ ბრძანებას თავისი იერარქია აქვს. ეს მოდის პრეზიდენტისგან, მერე მიდის მერაბიშვილთან, მერე ქვევით ჩამოდის და ბოლოს მიდის იქამდე, ვინც ამ აქციაში გამოვიდა ოფიცრისა და დამრბევის როლში. ამ რეჟიმმა უნდა იცოდეს, რომ პასუხისმგებლობა არ ასცდება. ყველამ უნდა იცოდეს, რომ პასუხს აგებს. არც ერთ ადამიანს დედამიწაზე და მით უმეტეს საქართველოში არ ჰგონია, რომ სააკაშვილის ხელისუფლება თავის ხროვასთან ერთად იქნება ხანგრძლივი. ეგენი მეომარ კადაფივით დიდხანს ვერ იქნებიან. მათ უნდა იცოდნენ, ახლა კი მისცემენ პრემიას, მაგრამ შემდეგ დედას უტირებენ. ამის ჩამდენს საერთოდ ქუჩაში სიარულის უნდა ეშინოდეს. თუ ნამდვილი ოპოზიცია ხარ, გარდა იმისა, რომ პროგრამა უნდა გქონდეს, უნდა განაცხადო, ამა და ამ ადამიანებს, დაწყებული პირველიდან, დამთავრებული, ვთქვათ, 217-ით, ვთვლი დამნაშავეებად, რომლებსაც ეკუთვნით ყველაზე დიდი სასჯელი, რაც კი არსებობს მოცემულ სახელმწიფოში. ეს თუ არ განაცხადე, უფლება არა გაქვს, ადამიანები ქუჩაში გამოიყვანო. მე რომ მოგიწვიე, ამ რომელიმე 518-დან მე ჯავრს ვიყრი. წინააღმდეგ შემთხვევაში დაპირისპირება ბლეფია.

***— ასეთი დამოკიდებულება შემდეგ ანგარიშსწორებამდე არ მივა?***

— ასეთი დამოკიდებულება ანგარიშსწორებამდე მივა, თუ არ იქნება ოფიციალური პუბლიკაცია და წინასწარი დასაბუთება.

# ქუთაისში ელექტრონული მუსიკის პირველი ფესტივალი ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

11 ივნისს ქუთაისში ელექტრონული მუსიკის პირველი ფესტივალი, სახელწოდებით „ქუთაისი ოპენ ეარ“ გაიმართება. მის მთავარ მიზანს ქვეყნის მეორე დედაქალაქში ელექტრონული მუსიკის და კლუბური ცხოვრების პოპულარიზაცია წარმოადგენს. ორი ადგილობრივი და 4 თბილისელი დიჯეი ქუთაისელი მსმენელისთვის განახლებულ მეფეთუბანში დაახლოებით 7 საათის განმავლობაში დაუკრავს. ღონისძიების ორგანიზატორები ქალაქში ცნობილი დიჯეები — ლევან მურღულია და ზაზა ფანჩულიძე არიან. მათთან ერთად საკუთარ მუსიკას ფესტივალის სტუმრები და 2011 წლის საუკეთესო დიჯეიდ აღიარებული გიორგი შენგელია დაუკრავენ. „ქუთაისი ოპენ ეარ“ ქუთაისის მერიის კულტურის, სპოტრის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდება. ფესტივალის ბიუჯეტი 10 ათას ლარია. როგორც ღონისძიების ორგანიზატორები აცხადებენ, ქუთაისში ელექტრონული მუსიკის ფსტივალი სისტემატურ ხასიათს მიიღებს. ქუთაისში ამ მნიშვნელოვან ღონისძიებასთან დაკავშირებით ევროპასა და აშშ-ში ცნობილ დიჯეებსაც ელოდებიან.

ქუთაისის პარალელურად, ფესტივალი ჩატარდება თბილისშიც. „თბილისი ოპენ ეარზე“, რომლის დევიზია „მუსიკა ათავისუფლებს“, მხოლოდ და მხოლოდ ლიცენზირებული სიმღერები აჟღერდება. ამის შესახებ ფესტივალის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გახდა ცნობილი, როდესაც საქართველოს ავტორთა საზოგადოებასა და ალტერვიზიის ჯგუფს შორის ხელი მოეწერა საავტორო უფლებებით სარგებლობის სალიცენზიო ხელშეკრულებას. ამით დადასტურდა ის ფაქტი, რომ „თბილისი ოპენ ეარზე“ შესრულებული სიმღერები ლიცენზირებული იქნება და მუსიკის ავტორები კუთვნილ ჰონორარებს მიიღებენ. ფესტივალის ორგანიზატორთა თქმით, ამ ხელშეკრულების შესაბამისად, ავტორებს აღარ ექნებათ საფუძველი, პრეტენზია გამოთქვან მათ მიერ დაწერილი სიმღერების შესრულებასთან დაკავშირებით.

— ჩვენ, როგორც მუსიკოსები, ძალიან დაინტერესებულები ვართ, რომ ჩვენი შემოქმედება დაცული იყოს. გარდა „თბილისი ოპენ ეარისა“, სხვა მუსიკალურ ივენთებსაც ვატარებთ და დღევანდელი გადაწყვტილება ავოტომატურად ყველა მათგანს შეეხება. ჩვენც ვართ მუსიკოსები და ამიტომ ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი საავტორო უფლელები დაცული იყოს, — განმარტა აჩიკო გულედანმა.

როგორც ალტერვიზიის ორგანიზატორმა აჩიკო გულედანმა განაცხადა, თბილისში 11-12 ივნისს იპოდრომის ტერიტორიაზე „ალტერ ვიჟენ გრუპის“ მიერ გამართულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში მონაწლეებისთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დაცული იყოს საავტორო უფლებები.

— საავტორო უფლებების დარღვევა ჩვენთვისაც, როგორც მუსიკოსებისა და შემსრულებლებისთვისაც სერიოზული პრობლემაა. ჩვენ უკვე გავაფორმეთ ხელშეკრულება საქართველოს ავტორთა საზოგადოების ხელმძღვანელთან. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა საქართველოში ჩატარებულ მუსიკალურ ფესტივალზე არა მოპარული, არამედ ლიცენზირებული სიმღერები შესრულდება. საჯაროდ, ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ ამიერიდან ჩვენ მიერ ჩატარებულ ნებისმიერ ღონისძიებასა თუ ფესტივალზე, მხოლოდ და მხოლოდ ლიცენზირებული მუსიკა აჟღერდება, რაც იმის დამადასტურებელია, რომ მისი ავტორები ჰონორარს მიიღებენ, — აღნიშნა ფესტივალის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ვახო ბაბუნაშვილმა.

წელს ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ბენდები. იპოდრომზე მოწყობილ საფესტივალო ქალაქის დიდ სცენაზე, ორი დღის განმავლობაში 19 მუსიკალური ბენდი დაუკრავს საქართველოდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ბელგიიდან. გასული წლებისგან განსხვავებით, წელს ფესტვიალზე დასწრება უფასო აღარ იქნება. ნებისმიერ მსურველს ბილეთში 5 ლარის გადახდა მოუწევს.

# სუხიშვილები ჩუმ ხორუმს იცეკვებენ

ეკა ირემაშვილი

10 და 11 ივნისს დიდ საკონცერტო დარბაზში სუხიშვილები ბოლო ათი წლის განმავლობაში უმცროსი ილიკო სუხიშვილის მიერ დადგმულ ცეკვებს გააერთიანებენ და ერთმოქმედებიან კონცერტად წარმოადგენენ. ამ დღეს არ შესრულდება ის კლასიკური ცეკვები, რომლებიც თავის დროზე დიდმა ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა დადგეს და დღეს უკვე ქართული ცეკვის კლასიკად არის მიჩნეული.

კონცერტის ჩატარებამდე ორმა ყველაზე პოპულარულმა ქართულმა ბრენდმა — „ბორჯომმა“ და „სუხიშვილებმა“ პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულება გააფორმეს. მას ხელი მოაწერეს კომპანია „ბორჯომის“ გენერალურმა დირექტორმა ზაზა კიკვაძემ და ანსამბლ „სუხიშვილების“ გენერალურმა დირექტორმა ნინო სუხიშვილმა. ხელმოწერილი დოკუმენტის მიხედვით, ორი უძველესი ქათული ბრენდი პარტნიორად გამოცხადდა. სწორედ ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარუდგენენ საზოგადოებას ორდღიან კონცერტებს, რომლის პროგრამაც ანსამბლის ახალ რეპერტუარზეა შექმნილი, 2012 წელს კი დაგეგმილია საქველმოქმედო კონცერტების ციკლი.

— ეს ერთგავრად სიმბოლურია, როცა ისეთი ძლიერი ბრენდები, როგორიცაა ერთის მხრივ „სუხიშვილები“ და მეორეს მხრივ „ბორჯომი“, ერთიანდებიან საერთო საქმის საკეთებლად. ჩვენი თანამშრომლობა ამ დოკუმენტით არ იწყება. სულ რაღაც 2 თვის წინ, ბელორუსიაში გამართული კონცერტის მხარდამჭერები ვიყავით, რამდენიმე წლის წინ შედეგიანად ვითანამშრომლეთ უკრაინაში გამართული კონცერტის დროს. ანსამბლი „სუხიშვილები“ და „ბორჯომი“ ორი ისეთი ბრენდია მსოფლიოში, რომელსაც იცნობენ, უყვართ და აფასებენ. ჩვენი თანამშრომლობა და ურთიერთმხარდაჭერა კი ხელს შეუწყობს ჩვენს წარმატებებს არა მხოლოდ შიდა, არამედ საზღვარგარეთის ბაზრებზეც, — განაცხადა კომპანია „ბორჯომის“ გენერალურმა დირექტორმა ზაზა კიკვაძემ.

დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილ ორსაათიან კონცერტზე „სუხიშვილების“ მოცეკვავეების მიერ შესრულდება ქისტური, ჯუთა, ზეკარი, ილოური, ლაზური და რაც მთავარია, ჩუმი ხორუმი, რომელსაც მოცეკვავეები სრულ სიჩუმეში, საკუთარი გულისცემის მოსმენის პარალელურად შეასრულებენ. „უსმინე შენს გულისცემას“ — ასეთია მათი დევიზი. როგორც „სუხიშვილებში“ განმარტავენ, ეს ერთგვარი ექსპერიმენტია. მთლიანობაში კონცერტზე წარმოდგენილი იქნება 15 ახალი ნომერი, სადაც 2 ნომერი მუსიკალური კომპოზიციაა.

— ვფიქრობ, რომ ჩვენი თანამშრომლობა კომპანია „ბორჯომთან“ შედეგიანი იქნება როგორც ანსამბლისთვის „სუხიშვილები“, ასევე „ბორჯომისთვის“. ყველა ბრენდს სჭირდება ის, რომ ღირსეული პარტნიორი ჰყავდეს. „სუხიშვილები“ და „ბორჯომი“ კი ის ბრენდებია, რომლითაც საქართველო მსოფლიო მასშტაბით ამაყობს. რაც შეეხება ჩვენ მიერ უკვე დაგეგმილ ღონისძიებებს, ძალიან მიხარია, რომ ახალი რეპერტუარის მხარდამჭერი და წარმდგენი კომპანია „ბორჯომი“ იქნება. ბრენდი, რაოდენ ასაკოვანიც არ უნდა იყოს, აუცილებლად უნდა მისდევდეს თანამედროვე ცხოვრების რიტმს, ჩვენც მუდმივად სიახლეები შეგვაქვს ჩვენს რეპერტუარში, თუმცა არ ვივიწყებთ ძველსა და ვუვლით, ვუფრთხილდებით მას. ასევეა „ბორჯომიც“. ახალი ბოთლით და ძველი ტრადიციებით — ეს დიდი ბრენდების დამახასიათებელი შტრიხია, — განაცხადა „სუხიშვილების“ გენერალურმა დირექტორმა ნინო სუხიშვილმა.

# კახი კავსაძე მიცვალებულის პოზიციაში აღმოჩნდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბერიკაშვლს ეძღვნებოდა. მსახიობისადმი მიძღვნილი წიგნი ქართული პოლიგრაფიული ცენტრის მიერ დაისტამბა. ინიციატივას მხარდაჭერა დედაქალაქის მერიამაც გამოუცხადა. კრებული კახი კავსაძის 76 წლის იუბილეს მიეძღვნა, რომელიც მსახიობმა 5 ივნისს იზეიმა. მსახიობს ძალიან არ უყვარს, როდესაც მის ასაკში დაბადების დღეს ულოცავენ. როგორც თავად ამბობს, ამ დროს ადამიანს დაბადების დღე კი არ უნდა მიულოცო, არამედ უნდა უთხრა, ვიზიარებ, თქვენი წლების მატებასო.

რუსთაველის თეატრში გამართულ წიგნის წარდგენაზე საზოგადოების წინაზე მსახიობის კოლეგები, მეგობრები, თეატრმცოდნეები წარდგნენ და გულახდილად ისაუბრეს იმ ადამიანზე, რომელიც ქართულველ საზოგადოებას გამორჩეულად უყვარს. წიგნი ერთი დიდი და ვრცელი ინტერვიუა, სადაც მსახიობი საკუთარ ცხოვრებასა და შემოქმედებაზე საუბრობს.

**კახი კავსაძე, მსახიობი:**

— ხომ იცით, როცა წიგნი იწერება, ადამიანები სთხოვენ მეგობრებს, ნაცნობებს, კრიტიკოსებს, თეატრმცოდნეებს, კოლეგებს, რომ გამოთქვან თავიანთი აზრი. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ვისზეც წიგნი იწერება, ის მიცვალებულის პოზიციაშია, რადგან მკვდარზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს. საქართველოში წესია, რომ მიცვალებულზე ცუდს არავინ იტყვის. ზუსტად მიცვალებულის მდგომარეობაში აღმოვჩნდი მეც. წიგნის ავტორების მოთხოვნები მაქსიმალურად დავაკმაყოფილე. როგორც ამბობენ, წიგნი საინტერესო გამოვიდა. მისი შეფასება კი მკითხველისთვის მიმინდვია.

**დიმიტრი ხვთისიაშვილი, წიგნის ავტორი, რეჟისორი:**

— პირველი წიგნი ბატონ გივი ბერიკაშვილზე გავაკეთეთ და ისიც ბატონი გივის იუბილეს და მარჯანიშვილის თეატრის წინ მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნას დაემთხვა. რაც შეეხება ბატონი კახის წიგნს, აქ ის ყვება თავისი ცხოვრების ისტორიას. მთელი წიგნი არის ბატონი კახის ერთი დიდი მონოლოგი. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი კახი საოცრად ემოციური, მხიარული და ენერგიული ადამიანია, მას საოცრად ტკივილიანი ცხოვრება აქვს გავლილი და დიდ დარდს ატარებს. წიგნში მე ჟურნალისტის როლში ვარ. როდესაც თხრობის მომენტში ბატონი კახი ვინმეს ახსენებს, ამ დროს მის მონოლოგში ერთვება სწორედ იმ ადამიანის მოკლე ინტერვიუ ან მისი დამოკიდებულება ბატონი კახის მიმართ. ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, მიხვდება, რომ ბატონი კახი საოცარი ადამიანია.

**გივი ბერიკაშვილი, მსახიობი, კახი კავსაძის მეგობარი:**

— ახლა რასაც ვიტყვი, ამას ვამბობ არა იმიტომ, რომ კახი ჩემი ოჯახისთვის უახლოესი ადამიანი და მეგობარია, არამედ იმიტომ, რომ ეს სიმართლეა. მას ისეთი საინტერესო ცხოვრება აქვს გამოვლილი და თვითონაც იმდენად საინტერესო ადამიანია, რომ მასზე წიგნის დაწერა, სწორედ რომ კარგი ინიციატივაა. სრული სერიოზულობით და პასუხისმგებლობით ვამბობ, კახი თვითონ არის საინტერესო პიროვნება. ის ისეთი მშრომელი და დაუზარელია, ისეთი ფართო სამეგობრო წრე ჰყავს და იმდენ ადამიანს უყვარს, გამორიცხულია, მასზე დაწერილი წიგნი უინტერესო და ცუდი გამოსულიყო.

# სადაზღვევო კომპანიებს ახალი აკრძალვები უწესდებათ

სადაზღვევო კომპანიებს ახალი აკრძალვები დაუწესდებათ. შესაბამის აკრძალვებს დაზღვევის შესახებ კანონპროექტი ითვალისწინებს, რომელიც ეროვნულმა ბანკმა მოამზადა. მის თანახმად, მზღვეველს საკუთარი აქციების შესაძენად სესხის გაცემა აეკრძალება, მას ასევე აეკრძალება, გასცეს სესხი მზღვეველის მნიშვნელოვანი წილის მფლობელის ან ადმინისტრატორის აქციების შესაძენად. აკრძალვა წესდება სესხის გაცემაზე შვილობილი კომპანიის აქციების შესაძენადაც.

კანონპროექტის მომზადების მიზეზად მისი ავტორები მზღვეველის ფინანსური სამყაროს დამატებითი მექანიზმების შემუშავების აუცილებლობას ასახელებენ.

მედიანიუსი


# ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზურა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკისფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



# განცხადებები

● ნერვული სისტემის მოწესრიგება, უძილობა, შიშები, აკვიატებები, დეპრესია, აგრესია, ყურებში შუილები, კლიმაქსური ფონი, ციკლის მოწესრიგება, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 858-21-77-93; 234-02-38 ფატი.

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაჟეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 871-33-01-61.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

# იტალიაში ახალი სკანდალი ღვივდება

**იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და რომის „ლაციოს“ ყოფილი ფორვარდი ჯუზეპე სინიორი, კვლავ ადასტურებს, რომ ტოტალიზატორს ხშირად თამაშობდა, თუმცა, ჩაწყობილ მატჩებთან კავშირს კატეგორიულად უარყოფს.**

იტალიაში მორიგი საფეხბურთო სკანდალი მწიფდება. სინიორი ერთ-ერთი ეჭვმიტანილია და დანარჩენ თექვსმეტ „ბოროტმოქმედდთან“ ერთად, პროკურატურა მას სერია ბ-სა და ლეგა პროს მატჩების სასურველი სცენარით წარმართვას ედავება.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, კონკრეტულად სინიორის წინააღმდეგ ის ფაქტი მეტყველებს, რომ ზოგიერთი მატჩის შედეგზე დიდ თანხას დებდა და რაც ყველაზე მთავარია, მუდამ მოგებული რჩებოდა.

— ამ საქმესთან არაფერი მაკავშირებს. მაქსიმუმ, რა თანხაც ტოტალიზატორში დამიდია, 300-400 ევროა. ეს ბევრია? რამდენი შეიძლებოდა ამ თანხით მომეგო? ჩაწყობილ თამაშებში არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია და იმ ჩეკებსაც, რომლებსაც მაჩვენებთ, პირველად ვხედავ, — თავს იმართლებს სინიორი.

მოკლედ, სინიორი ირწმუნება, რომ მას არარეალურად უმართლებდა, რასაც გამოძიება კატეგორიულად არ ეთანხმება.

მეტიც, გამოძიება კიდევ უფრო წინ წავიდა ჩაწყობილი თამაშებთან დაკავშირებით პოლიცია სერია ა-ის რამდენიმე კლუბზე გავიდა, მათ შორის „რომაზე“. საქმეში კი ფრანჩესკო ტოტისა და კრისტიან ვიერის სახელებიც ამოტივტივდა, ხოლო „უცნაური“ მატჩების კატეგორიაში სერია ა-ის ოთხი შეხვედრა გაიყვანეს.

კრემონაში დაკითხეს ეჭვმიტანილები, წარსულში ცნობილი თავდამსხმელი ჯუზეპე სინიორი და ორი ბუკმეიკერი — მასიმო ეროდიანი და მარკო პირანი. ამ ტრიოს მიიჩნევენ იტალიაში დანაშაულებრივი ორგანიზაციის ბოსებად. სწორედ ამ დაჯგუფების საქმიანობის გამოძიებისას ამოტივტივდა ცნობილი სახელები — ვიერი, ტოტი და „ლეჩეს“ ფორვარდი დანიელე კორვია.

ეს ვარსკვლავური დუეტი ჯერ არ მიიჩნევა ეჭვმიტანილად, მაგრამ მათმა ადვოკატებმა უკვე მიანიშნეს სასამართლოში კლიენტების ღირსების სავარაუდო დაცვის შესახებ.

რაც შეეხება სინიორის, პროკურორ გვიდო სალვინისთან დაკითხვაზე, როგორც უკვე გითხარით, ბეპემ კატეგორიულად უარყო მაქინაციებში თავისი მონაწილეობა.

ადვოკატებმა განაცხადეს, რომ გამოძიებას ერთადერთი ხელმოსაჭიდი აქვს — სინიორის სახლში ნაპოვნი რვეული ტოტალიზატორში თამაშის წესებით. პოლიცია გამოძიების დროს ეჭვმიტანილების — ეროდიანისა და პირანის ტელეფონებს უსმენდა. ისინი „ფიორენტინასა“ და „რომას“ მატჩის (2:2) შემდეგ ლაპარაკობდნენ ბოლონიაში გამგზავრებასა და ფულის გაყოფაზე. სწორედ ბოლონიაში ცხოვრობს ამ საქმის ფიგურანტთა უმეტესი ნაწილი, მათ შორის სინიორი, რომელიც გამოძიების ვერსიით შუამავალი იყო ბუკმეიკერებსა და მის ნაცნობ ფეხბურთელებს შორის. „ფიორენტინასა“ და „რომას“ მატჩზე ეჭვს აძლიერებს ტოტის საუბარი „რომას“ ყოფილ ფეხბურთელთან, კორვიასთან. ფრანჩესკო ამბობს, რომ მატჩში ბევრი გოლი იქნება და სწორედ ამაზე შეიძლება ფსონის ჩასვლა.

თავად კორვიამ ჯერ კიდევ 16 მაისს მიმართა განცხადებით რომის პროკურატურას უცნობილ პირისგან მიღებული სატელეფონო ზარის შესახებ. ეს „უცნობი“ ეროდიანი აღმოჩნდა.

იტალიური ფეხბურთის გაწმენდის მორიგი ოპერაცია სერია ა-მდეც მივიდა. მოკრძალებული „ბენევენტოს“ დაპატიმრებულმა მეკარემ მარკო პაოლონიმ განაცხადა, რომ სერია ა-ს შარშანდელი მატჩი “ინტერსა“ და “ლეჩეს“ (1:0) შორის ჩაწყობილი იყო.

განსახვავებული კლასის გუნდებს შორის მატჩში ფავორიტის დიდი ანგარიშით მოგებას ელოდნენ, მაგრამ მილანელებმა პაცინის მონდომებით ერთადერთი გოლი გაიტანეს. როგორც ჩანს, ამაზე ვიღაცამ სოლიდური თანხა მოხსნა.

სწორედ ამ მატჩთან დაკავშირებით ამოტივტივდა ვიერის გვარი, რომელიც თითქოს ტოტალიზატორის აქტიური მოთამაშეა და საქმის კურსში იყო „ინტერი“-„ლეჩეს“ მატჩის ჩაწყობილ შედეგზე.

მეორე მოწმე, რომელიც პირად ინფორმაციას იღებდა პაოლონისგან (როგორც ჩანს, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ) სერია ა-ს სხვა მატჩებზე ჩადიოდა ფსონებს: “ლეჩე“-“კალიარი“ (3:3) და “ჯენოა“-“ლეჩე“ (4:2). რთული მისახვედრი არ არის, რომ ამ შემთხვევაში “მეტ ბურთზე“ თამაშობდნენ...

პოლიციის მონაცემებით, მაქინატორებში ყველაზე დიდი პოპულარობით სწორედ ეს ფსონი სარგებლობს. საინტერესოა, რომ ოთხი საეჭვო შეხვედრიდან სამში “ლეჩე“ მონაწილეობდა, რომლის შემადგენლობაშიც შარშან კორვია თამაშობდა.

იტალიაში აგორებულმა ახალმა ბუქმეიქერულმა სკანდალმა, იტალიის ეროვნული ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ კარის დარაჯი ჯანლუიჯი ბუფონი ძალიან გააბრაზა.

ერთ-ერთ ინტერვიუში, მან ჟურნალისტები გააკრიტიკა და ადამიანთა სახელების შებღალვისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა.

— გეყოთ ადამიანთა სახელების შებღალვა. ჯერ დაამტკიცეთ ამა თუ იმ ადამიანის ბრალეულობა და მერე გააშავეთ ისინი. მე ასეთი რამ უკვე დამემართა. დამნაშავედ მცნეს იმ საქმეში, რასთანაც არაფერი მაკავშირებდა. რა თქმა უნდა, დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ მართლა დამნაშავეა! აუცილებელია, რომ ეჭვმიტანილთა ბრალეულობა დამტკიცდეს, თუ ისინი მართლა დამნაშავეები არიან და მხოლოდ ამის შემდეგ გამოქვეყნდეს მათი სახელები. არ შეიძლება, ადამიანს ტონა ტალახი ესროლო და მერე, თუ ეჭვი გაიფანტა, სადღაც კუთხეში პატარა მინიშნება გააკეთო. მერე ამ ადამიანებს წლები სჭირდებათ თავიანთი რეპუტაციის აღსადგენად, — განაცხადა ბუფონმა.

# ბოიან კრკიჩი: „ჩემი ერთადერთი მიზანი „ბარსაში“ თამაშია“

შაბათს დანიაში სტარტს აიღებს ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის, რომელშიც რვა გუნდი (დანია, შვეიცარია, ბელარუსი, ისლანდია, ესპანეთი, ინგლისი, ჩეხეთი და უკრაინა) არა მარტო ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ, არამედ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურისთვისაც.



შეჯიბრების ფავორიტი ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრებია, რომლის რიგებს ისეთი ფეხბურთელები აძლიერებენ, რომელთაც ეროვნულ ნაკრებ გუნდშიც უმაღლესი რანგის ტურნირები აქვთ მოგებული. ერთ-ერთი ასეთი მოთამაშე „ბარსელონას“ 20 წლის ფორვარდი ბოიან კრკიჩია.

***— ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ, თქვენ წინაშე კიდევ ერთი ამოცანაა — ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ლონდონის ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის საგზურის მოპოვება. რამდენად რეალურად გეჩვენებათ ეს ამბავი?***

— ოლიმპიადაზე გამოსვლის ნებართვის დაუფლება ჩვენი უმთავრესი საზრუნავია. ვარჯიშებზე თავს არ ვზოგავთ და ვფიქრობ, ჩვენი შრომა სათანადო ნაყოფს გამოიღებს. კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ გავიარეთ შესარჩევი ციკლი, ახლა კი საქმე ბოლომდეა მისაყვანი.

***— ესპანეთს ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. როგორ გგონიათ, თქვენი ნაკრები ტურნირის ფავორიტია?***

— ასე გადაჭრით თქმა არ შეიძლება. ჩვენ კარგი შემადგენლობა გვყავს, მაგრამ სხვებსაც ნუ დავივიწყებთ. მაგალითისთვის ინგლისი ავიღოთ. მისი ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას პრემიერლიგის მოწინავე კლუბების ფეხბურთელები იცავენ. პირველ მატჩს სწორედ ალბიონელებთან ვატარებთ და ამ შეხვედრას უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ. დარჩენილ დროში, მთავარი იდეალური შეთამაშების მიღწევაა. თუკი ეს მოხერხდა და ტრავმებიც ავიცილეთ, ევროპის პირველობის მოგება და ლონდონის თამაშების საგზურის დაბევება სავსებით რეალური იქნება.

***— ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებში მსოფლიოს ორი ჩემპიონი, აგრეთვე ჩემპიონთა ლიგისა და პრიმერა დივიზიონის გამარჯვებულები თამაშობენ. ეს ფეხბურთელები გუნდის წამყვან ძალად ითვლებიან?***

— გუნდში მყოფი ნებისმიერი მოთამაშე მნიშვნელოვან ფიგურად ითვლება. ახალგაზრდული ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი სეგუნდა დივიზიონის კლუბების წარმომადგენელია. ისინი თავიანთ გუნდებში რეგულარულად ასპარეზობენ და ამ ლიგის დონის და დაძაბულობის გათვალისწინებით, საკმაოდ გამობრძმედილი მოთამაშეები არიან. ერთი სიტყვით, ნაკრების ყველა ფეხბურთელი მზადაა, რომ წარმატებით გამოვიდეს ევროპის პირველობაზე.

***— მართალია, თითქოს სერხიო ბუსკეტსს ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში რომ სურდა?***

— დიახ. სერხიოს დიდი სურვილი ჰქონდა დანიაში ჩვენთან ერთად ეასპარეზა და ოლიმპიადის საგზურის მოპოვების საქმეში დახმარება გაეწია. ბუსკეტსი მაღალი კლასის ფეხბურთელია, რაც უკვე დამტკიცებული აქვს.

***— თქვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი ლუის მილია რას გეუბნებათ მნიშვნელოვანი ტურნირის სტარტის წინ? როგორი სიტყვებით ცდილობს იგი მოთამაშეთა მოტივირებას?***

— დამატებით მოტივაციას არ ვსაჭიროებთ. კარგად გვესმის, რამხელა პასუხისმგებლობა გვეკისრება, ლუის მილიას უმთავრესი მოვალეობა კი გუნდის ფიზიკურად და ტაქტიკურად სათანადოდ მომზადებაა.

***— როგორც „ფურია როხას“, ასევე ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობის ხერხემალს „ბარსელონას“ ფეხბურთელები შეადგენთ. დანიაში „ბარსა“ ხუთი მოთამაშით იქნება წარმოდგენილი.***

— ჩვენი კანტერა მართლაც დიდებულად მუშაობს და ყოველწლიურად საიმედო ცვლას უმზადებს „ბარსელონას“. გუნდში წარმატებით მოასპარეზე მოთამაშეები კი ნაკრებების მწვრთნელთა თვალთახედვის არეალში ხვდებიან.

***— ლუის მილიას კატეგორიული მოთხოვნით, ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრების სატრანსფერო საკითხები დროებით შეჩერებულია. ყოველ შემთხვევაში, ამაზე საუბარი ყველას აკრძალული აქვს. როგორ გგონიათ, ეს კარგია თუ ცუდი?***

— ჩემი აზრით, კარგია. რაც უფრო მშვიდ ატმოსფეროში მოგვიწევს ვარჯიში და თამაში, მით უკეთესი. საბოლოოდ მაინც ყველაფერი გაცხადდება, ახლა კი, ჩვენი ფიქრი მხოლოდ ევროპის მოახლოებულ პირველობას უტრიალებს. ამასთან, დანიაში წარმატებით თუ გამოვედით, ნებისმიერი ჩვენგანის სატრანსფერო ფასი აიწევს.

***— ბოლოხანს ტრავმა გაწუხებდათ. ამჟამად თავს როგორ გრძნობთ, დაზიანება სრულად მოიშუშეთ?***

— დიახ, თავს მშვენივრად ვგრძნობ და მნიშვნელოვანი სტარტისთვის სრული დატვირთვით ვემზადები.

***— ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელმა სატრანსფერო თემებზე საუბარი კი შეაჩერა, მაგრამ ამ თემას გვერდს მაინც ვერ ავუვლით. ამბობენ, „ბარსელონა“ საშემადგენლო ცვლილებებს გეგმავს და თქვენ, შესაძლოა, გაცვლის ობიექტი გახდეთ. შეგიძლიათ რაიმე კონკრეტული გვითხრათ?***

— არ მსურს „გაცვლის ობიექტად“ მომიხსენიონ და ჩემი სხვაგან წასვლით, „კამპ ნოუზე“ მოსული რომელიმე ფეხბურთელის ღირებულება ამით შემცირდეს. ეს მხოლოდ ჩემი პოზიცია არაა — ამგვარად ამბობენ და ფიქრობენ „ბარსაში“. ჩემი უმთავრესი საფეხბურთო მიზანი „კამპ ნოუზე“ ასპარეზობაა, სადაც არაერთი წელი უკვე გავატარე და ვფიქრობ, თავი ურიგოდაც არ წარმომიჩენია მწვრთნელებისა და გულშემატკივრის წინაშე. ისე კი, პროფესიულ ფეხბურთში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება და ყოველდღიურად უნდა ვამტკიცო, რომ „ბარსას“ წევრობის ღირსი ვარ. იმედია, ევროპის მომავალ ჩემპიონატზეც კარგად გამოვალ.

***— ჯუზეპე როსის „ბარსელონაში“ შესაძლო გადასვლას რა კომენტარს გაუკეთებთ?***

— როსი ძლიერი და ჩამოყალიბებული ფეხბურთელია, რომელსაც „ვილიარეალის“ შემადგენლობაში გამოსვლისას ბევრი გოლი გააქვს.

***— მას „ბარსაშიც“ წარმატებით შეეძლება თამაში?***

— რასაკვირველია. ამაში ეჭვიც არ მეპარება.

***— როსიზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ გაზეთებში დაიწერა, თითქოს იტალიელი კატალონიაში ჩავა სათამაშოდ, თქვენ კი „ვილიარეალში“ გააგრძელებთ საფეხბურთო კარიერას.***

— გაგიმეორებთ — „ბარსელონას“ ფეხბურთელი ვარ და სხვა კლუბის მაისურით მოთამაშე საკუთარი თავი ვერ წარმომიდგენია. ვამაყობ იმით, რასაც ოცი წლის ასაკში მივაღწიე, მაგრამ სამომავლოდ მეტის გაკეთებას ვაპირებ. „ბარსაში“ თამაში ჩემი ერთადერთი საფეხბურთო ოცნება და მიზანია.

# „ტორპედომ“ კატუშიჩი დაიმატა, „დინამომ“ — გოცირიძე

ახალი სეზონისთვის მზადება ჯერ არ დაუწყია ქუთაისის „ტორპედოს“. ამის მიზეზი კი ის არის, რომ, ჯერჯერობით, უცნობია, ვინ იქნება გუნდის მთავარი მწვრთნელი. გია გიგატაძეს კონტრაქტი დაუსრულდა და თითქმის გადაწყვეტილია, რომ გუნდში სხვა სპეციალისტი შეცვლის, თუმცა გიგატაძე გუნდში დარჩება, მაგრამ რა თანამდებობაზე, ჯერ გასარკვევია.

მწვრთნელის თაობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ამ დღეებში უნდა გადაწყდეს, ვინ ჩაუდგება „ტორპედოს“ სათავეში.

სამწვრთნელი შტაბში ერთი სიახლე მაინც არის — „ზესტაფონიდან“ წასული ხორვატი ფიზმომზადების მწვრთნელი ივო კატუშიჩი ქუთაისის „ტორპედოში“ იმუშავებს.

კატუშიჩი ბოლოს „ზესტაფონში“ გახლდათ, თუმცა, მანამდე თბილისის „დინამოს“ ფიზმომზადების მწვრთნელი იყო. და რა იყო ფეროელებიდან წასვლის მიზეზი? განსაკუთრებული არაფერი, უბრალოდ, ხორვატს კონტრაქტი დაუსრულდა და ახალ თანამშრომლობაზე შეთანხმება ვერ მოხერხდა.

რაც შეეხება გუნდიდან წამსვლელ-მომსვლელ ფეხბურთელებს: ოფიციალურად ჯერ არავინ წასულა. კონტრაქტები გაგრძელდა დავით დიღმელაშვილთან, თენგიზ ჩიკვილაძესთან და გია მეგრელაძესთან. რამდენიმე მოთამაშის საკითხი ღიადაა. და რაც შეეხება სავარაუდო ახალწვეულებს, „ტორპედოს“ ასეთები მრავლად ეყოლება და დიდი შანსია, უცხოეთში მოთამაშე ქართველებიც ჩამოიყვანონ. ყოველ შემთხვევაში, ინტერესი არის.

რაც შეეხება თბილისის „დინამოს“, გუნდი უკვე შეუდგა უცხოეთიდან ქართველი ფეხბურთელების შემოყვანას. ცნობილი გახდა, რომ წლის ბოლომდე „დინამოს“ სახელით გაირჯება ბექა გოცირიძე, რომელიც კონტრაქტით დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ ეკუთვნის, მაგრამ ამ გუნდში ძალიან იშვიათად თუ ჩნდება და ძირითადად იჯარის წესით ანათხოვრებენ. ასე მოხდება ამჯერადაც — გოცირიძე „დინამოში“ იჯარით ითამაშებს.

ასევე საუბარი მიდის „დინამოში“ „დნიპროს“ კიდევ ერთი ფეხბურთელის, სანდრო კობახიძის დაბრუნებაზე. მისი საკითხი უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს.

„დინამოს“ უკრაინიდან კიდევ ერთი ფეხბურთელის, ჯაბა კანკავას დაბრუნებაც სურდა, მაგრამ ამ შემოთავაზებაზე უარი თავად ფეხბურთელმა თქვა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ჩინეთი-ჩრ.კორეა | 2:0 |
| ურუგვაი-ჰოლანდია | 1:1(4:3პ) |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

**პლეი-ოფი. პირველი მატჩი**

| | |
|---|---|
| სელტა-გრანადა | 1:0 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| კოლამბუსი-სოლტ ლეიკი | 2:1 |

**ბრაზილია. თასი**

**ფინალი. საპასუხო მატჩი**

| | |
|---|---|
| კურიტიბა-ვასკუ | 3:2 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო(მ)-სან პაულუ | 0:1 |

### კალათბურთი

**ევ-2011. ა დივიზიონი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ბელგია | 82:70 |
| უკრაინა-ფინეთი | 82:76 |
| ბულგარეთი-ჰოლანდია | 70:62 |
| იტალია-რუმინეთი | 76:60 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-ხორვატია | 102:82 |
| თურქეთი-ჩერნოგორია | 75:54 |

### ფრენბურთი

**საერთაშორისო ტურნირი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| კუბა-ჰოლანდია | 3:0 |
| იაპონია-იტალია | 3:0 |
| გერმანია-პერუ | 3:0 |

### ხელბურთი

**ევ-2012. საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | |
|---|---|
| უკრაინა-პოლონეთი | 26:32 |
| საბერძნეთი-ჩეხეთი | 26:24 |
| ლატვია-ისლანდია | 25:29 |
| რუმინეთი-ხორვატია | 25:30 |
| ესტონეთი-მაკედონია | 25:31 |
| ჰოლანდია-ნორვეგია | 21:36 |
| ჩერნოგორია-შვედეთი | 28:39 |
| შვეიცარია-რუსეთი | 29:32 |
| ავსტრია-გერმანია | 20:28 |
| ბელარუსი-დანია | 29:33 |
| ბოსნია-უნგრეთი | 19:22 |
| პორტუგალია-სლოვენია | 31:29 |

### ჩოგბურთი

**ატპ. ლონდონი. ბალახი**

| | |
|---|---|
| ანდერსონი-იანგი | 6:2;6:4 |
| ტიპსარევიჩი-რასელი | 7:6;7:6 |
| ჩილიჩი-კლემანი | 6:4;6:4 |
| მიურეი-მალისე | 6:3;5:7;6:3 |
| ბელუჩი-ილჰანი | 6:2;6:7;7:6 |
| ნალბანდიანი-ბოზოლიაცი | 6:4;6:4 |
| ლუბიჩიჩი-შტეპანეკი | 6:0; 5:7;4:6 |
| ნადალი-ებდენი | 6:4;6:4 |
| დელ პოტრო-კუნიცინი | 6:4;6:4 |

**ვტა. ბირმინგემი. ბალახი**

| | |
|---|---|
| რისკე-გრონერტი | 6:3;6:4 |
| ჰანტუჩოვა-კირსტეა | 6:0;6:3 |
| კუდრიავცევა-დელაკუა | 7:5;3:6;6:4 |
| ერაკოვიჩი-შვედოვა | 7:6;7:5 |
| მორიტა-ჰლავაჩკოვა | 6:7;2:6 |
| ლისიცკი-ფლიპკენსი | 7:5;7:6 |
| უოტსონი-დოი | 6:2;6:4 |
| მარინო-ფუჯივარა | 6:1;6:2 |
| მაკაროვა-პაჩეკი | 4:6;6:3;4:6 |
| ერანი-მაკპეილი | 7:6;4:6;6:2 |
| პენგი-ბროადი | 6:2;6:7;7:6 |
| ივანოვიჩი-ტატიშვილი | 6:1;6:0 |
| ჰანტუჩოვა-კუდრიავცევა | 6:4;6:2 |
| ლუჩიჩი-ჰლავაჩკოვა | 6:2;7:6 |

### ჰოკეი

**ნჰლ. პლეი-ოფი**

**ფინალი 4 მოგებამდე**

| | |
|---|---|
| ბოსტონი-ვანკუვერი | 4:0 |
| სერიის ანგარიში | 2:2 |

შედით საიტზე atb.ge

## დღის კალენდარი

### 10 ივნისისთვის



წლის 161-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 204 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

**აღდგომიდან მე-7 შვიდეული. პარასკევი.**

წარგზავნა უფლის ამაღლების დღესასწაულისა.

ხსენება ღირსი ნიკიტა აღმსარებლისა, ქალკიდონის ეპისკოპოსისა (IX); წმიდა მღვდელმოწამეთა: ევტიქისა, მელიტინელი ეპისკოპოსისა (I) და ელლადისა (XII); წმიდა მოწამე ელიკონიდასი (244).

ღირსი მამა ნიკიტა აღმსარებელი, ეპისკოპოსი ქალკიდონისა VIII საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა. თავისი ღვთის სათნომყოფელი ცხოვრებისათვის იგი ქალკედონის ეპისკოპოსად დაადგინეს. მღვდელმთავარი ნიკიტა გამოირჩეოდა დიდი მოწყალებით. ხატთმპყრობელი იმპერატორის ლევ სომეხის მეფობის ჟამს მღვდელმთავარი მხნედ ამხილებდა ხატთმბრძოლთა მწვალებლობას და დღედაღამ შეაგონებდა თავის სამწყსოს მოწიწებით ეცათ თაყვანი იესო ქრისტეს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ყველა ღვთისსათნომყოფელი წმიდანის ხატებისათვის. ამის გამო ნიკიტამ მრავალი დევნა-შევიწროება გადაიტანა ხატთმბრძოლი იმპერატორისა და მის თანამზარხველ მწვალებელთაგან. წმიდა ნიკიტა აღმსარებელი IX საუკუნის დასაწყისში გარდაიცვალა. მისი წმიდა ნაწილებისაგან კურნების სასწაულნი აღესრულებოდა.

წმიდა მღვდელმოწამე ელლადი ეპისკოპოსი ქრისტეს რწმენის აღიარებისათვის ცეცხლში ჩააგდეს, მაგრამ, ღვთის შეწევნით, უვნებლად გადარჩა. საპყრობილეში წმიდა მღვდელმოწამეს თვით უფალი იესო ქრისტე გამოეცხადა და წყლულები განუკურნა.

**დაიბადნენ:**

1819 — გუსტავ კურბე, ფრანგი მხატვარი. გარდაიცვალა 1877 წელს.

1832 — ნიკოლაუს ავგუსტ ოტო, გერმანელი კონსტრუქტორი. გარდაიცვალა 1891 წელს.

1915 — სოლ ბელოუ, ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1921 — ფილიპ მაუნტბეტენი, ედინბურგის ჰერცოგი, დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელიზაბეტ II მეუღლე.

1921 — რევაზ ლაღიძე, გამოჩენილი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1981 წელს.

1924 — ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი, ისტორიკოსი, წყაროთმცოდნე. გარდაიცვალა 1999 წელს.

1929 — მერაბ ბერძენიშვილი, ცნობილი მოქანდაკე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

1936 — რევაზ ბანცური, მათემატიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

1953 — გია ეძგვერაძე, მხატვარი, დიუსელდორფის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

**გარდაიცვალნენ:**

1836 — ანდრე მარი ამპერი, ფრანგი მეცნიერი.

1858 — რობერტ ბროუნი, შოტლანდიელი ბოტანიკოსი.

1882 — ვასილი პეროვი, რუსი მხატვარი.

1949 — სიგრიდ უნსეტი, ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**მოვლენები:**

1542 — რაზმმა ფრანსისკო დე ორელიანას ხელმძღვანელობით აღმოაჩინა ამაზონის უდიდესი შენაკადი მდინარე მადეირა.

1865 — მიუნჰენში გაიმართა რიჰარდ ვაგნერის "ტრისტანი და იზოლდას" პრემიერა.

1909 — დაარსდა ქალაქი კანბერა — ავსტრალიის დედაქალაქი.

1940 — ფაშისტურმა იტალიამ ომი გამოუცხადა საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს.

1940 — ფაშისტურმა გერმანიამ მოახდინა ნორვეგიის ოკუპაცია.

1943 — უნგრელმა ლასლო ბირომ გამოიგონა ბურთულიანი კალამი.

1967 — საბჭოთა კავშირმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან ისრაელ-ეგვიპტის ექვსდღიანი ომის„ გამო. დიპლომატიური ურთიერთობა აღდგა 1991 წელს.

1998 — საფრანგეთში დაიწყო მე-16 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. მსოფლიო ჩემპიონი გახდა საფრანგეთის ნაკრები.

**ღირსსახსოვარი დღე:**

პორტუგალია — პორტუგალიის დღე

პოლონეთი — ეროვნული დღე

**მედიანიუსი**

# სააკაშვილმა არჩევნების გაყალბება უკვე დაიწყო

შორენა გონგლა ე

— „მედიაპალიტრაში" შესვლა — ეს არის ხელისუფლების მიერ დაწყებული მორიგი სადამსჯელო ოპერაცია თავისუფალი სიტყვის მიმართ, ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, საჭიროა ხმა აიმაღლოს მთელმა ჟურნალისტთა კორპუსმა და მათ შორის იმ მედიასაშუალებებმა, რომელთაც თავისუფალი სიტყვის უფლება დიდი ხანია ჩამოართვა ხელისუფლებამ", — ეს განცხადება პარტია „მომავალი საქართველოს" ლიდერმა გიორგი ლაღიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. მისი განცხადებით, ხელისუფლებას საზოგადოებამ აღარ უნდა მისცეს საშუალება, მედიაპალიტრაზე საკუთარი კონტროლი განახორციელოს.

— მინდა გამოვეხმაურო შემოსავლების სამსახურის შესვლას „მედიაპალიტრის" დაწესებულებებში, მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის შემთხვევითობა, ფაქტია, რომ ეს მოხდა 26 მაისის შემდეგ, ვინაიდან „მედიაპალიტრა" ძალიან აქტიურად და ობიექტურად აშუქებდა მიმდინარე მოვლენებს და როგორც ჩანს, ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, რომ კიდევ ერთხელ „ასწავლოს ჭკუა" დაუმორჩილებელი მედიის ერთ ნაწილს. დღეს, სამწუხაროდ, ქვეყანაში მონოპოლიზებული აქვს მედიასაშუალებები. თავისუფალია ნაწილობრივ მხოლოდ ბეჭდვური მედიის ერთი მცირე ნაწილი და ხელისუფლების ყურადღება სწორედ ამისკენ არის მიმართული. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ნამდვილად არის საჭირო განგაშის ზარების შემოკვრა და სამოქალაქო საზოგადოება, პოლიტიკური პარტიები, უნდა დავდგეთ თავისუფალი მედიის გვერდით და არ უნდა მივცეთ ხელისუფლებას იმის საშუალება, რომ ზეწოლა განახორციელოს თავისუფალ მედიაზე. ხელისუფლება რაც უფრო მეტად განახორციელებს მედიაზე კონტროლს, ფაქტია, რომ მას უფრო მეტი



ძალა ექნება, რომ საკუთარი მოსაზრებები საზოგადოებას თავის მრავალი მედიის საშუალებით. ფაქტიურად დღეს ქვეყანაში არებულ რეალურ მდგომარეობას სულ თითო-ოროლა მედია საშუალებები ასახავენ და მათი გავრცელების არეალი მნიშვნელოვნად არის შეზღუდული. აქედან გამომდინარე, ჩვენ სრულ სოლიდარობას ვუცხადებთ „მედიაპალიტრას" და ყოველთვის დავდგებით თავისუფალი სიტყვის გვერდით. — აცხადებს გიორგი ლაღიძე. მისივე თქმით, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა მედიასაშუალებების მხარდაჭერასაც.

— ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია ჟურნალისტების მხარდაჭერა და მათ შორის იმ მედიასაშუალებების, რომლებიც კონტროლდება ხელისუფლები მიერ. ჩვენ კარგად გვახსოვს რევოლუციამდე პერიოდი, როდესაც ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ში შევიდა საგადასახადო პოლიცია და პრაქტიკულად ამას მოჰყვა სულ მალე რევოლუციაც. მინდა მოვუწოდო ხელისუფლებას, რომ იყოს ძალიან ფრთხილად, მან უნდა იცოდეს ერთი რამ, რომ მიუხედავად იმისა, რომ დღეს სრულად არის განეიტრალებული ხალხის გამოსვლები, მაგრამ საზოგადოებაში არსებობს უზარმაზარი პროტესტი და ეს პროტესტი 26 მაისის შემდეგ უფრო მეტად გამძაფრდა. უამრავი ადამიანია ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილო და მიმაჩნია, რომ ხელისუფლებას აღარ უნდა მივცეთ შეცდომების და დანაშაულის ჩადენის უფლება. — აცხადებს გიორგი ლაღიძე.

— ხელისუფლებისთვის ეს მორიგი სადამსჯელო ოპერაციაა თავისუფალი მედიის წინააღმდეგ, რასაც საზოგადოება შეეგუა კიდეც, თქვენ გაქვთ იმედი, რომ მედიაპალიტრა ქმედით მხარდაჭერას მიიღებს საზოგადოების მხრიდან?

— სააკაშვილი ვარდების რევოლუციის შემდგომ მოვიდა ხელისუფლებაში, პირველი დარტყმა მედიის მიმართ რაც განახორციელა, ეს იყო ტელეკომპანია „იბერია" და მე მაშინ ამ აქციებში ვიღებდი მონაწილეობას, ვინაიდან მიმაჩნდა, რომ ეს იყო ზეწოლა თავისუფალ სიტყვაზე, კარგად გვახსოვს „იმედის" გახმაურებული ფაქტი, თუ როგორ ჩაიგდო ეს ტელეკომპანია ხელისუფლებამ და ასე მიზანმიმართულად ხელისუფლება საკუთარ კონტროლს ამყარებ თავისფალ სიტყვაზე. ამიტომ უნდა ვიყოთ მობილიზებული სწორი მიმართელებით და ხელისუფლებას აღარ მივცეთ ასეთი მიზნის განხორციელების უფლება. ჩემი პოზიციაა ის, რომ ხელისუფლების ცვლილება უნდა განხორციელდეს არჩევნები გზით, ნორმალური არჩევნების ჩატარებისათვის საჭიროა თავისუფალი მედიასაშუალებების არსებობაც, რომლებიც ობიექტურად გააშუქებენ ამა თუ იმ პოლიტიკურ პროცესებს, რაც შემდგომ გახდება იმის საფუძველი, რომ შემდგომ საზოგადოება ობიექტურად შეაფასებს ხელისუფლების და ოპოზიციის რეიტინგს. სხვა შემთხვევაში, თუ ხელისუფლებამ ასეთი ნაბიჯები გადადგა, რასაც ის აკეთებს თავისუფალი სიტყვის მისამართით, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებამდე ერთ წელზე მეტია დარჩენილი, ჩათვალეთ, რომ ხელისუფლებას არჩევნების გაყალბება უკვე დაწყებული აქვს.

# ჟენევის მოლაპარაკებებზე ქართულმა მხარემ დემარშს მიმართა



ჟენევის კონსულტაციების ბოლო რაუნდი ქართულმა მხარემ უკმაყოფილოდ დატოვა. როგორც მოლაპარაკებების შემდეგ ქართული დელაგაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, შესაძლოა, საქართველომ მოლპარაკებების გაგრძელების საკითხს გადახედოს, რადგან თუ მოლაპარაკებების ერთ-ერთი მხარე — რუსეთი არ შეწყვეტს საქართველოში ტერორისტული აქტების განხორციელებას, ჟენევის კონსულტაციების გაგრძელაბს აზრი აღარ ექნება.

რამდენად სწორია ქართული მხრიდან ასეთი პოზიციის დაფიქსირება და ოფიციალური განცხადების მიღმა ხომ არ არსებობს მოლაპარაკებების გადახედვის სხვა მიზეზი და რა პოზიცია უკავია დასავლეთს ამ საკითხთან მიმართებში? — ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი" ექსპერტ **მამუკა არეშიძეს** ესაუბრა.

***— ბატონო მამუკა, ჟენევის საერთაშორიოს კონსულტაციების ბოლო რაუნდი ქართულმა მხარემ უკმაყოფილომ დატოვა და განაცხადა, რომ შესაძლოა ეს მოლაპარკებები საერთოდ ჩაიშალოს. როგორ შეაფასებთ ამ სიტუაციას?***

— პრობლემა არის ის, რომ ჟენევის მოლაპარაკების მოანაწილე მხარეებს სტატუს-კვოს შენარჩუნება უფრო ხელს აძლევს, ვიდრე სიტუაციის გაუმჯობესება. ამას ჩივის არამარტო ქართული მხარე, არამედ აფხაზურიც. საბოლოო ჯამში გამოდის, რომ ეს გარკვეულწილად არის პოლიტიკური დემარში ქართული მხრიდან, რათა სიტუაცია შეიცვალოს უკეთესობისკენ. არ მგონია, ქართული მხარე თანახმა იყოს მოლაპარაკებების შეაჩეროს, რადგან ეს არის ერთადერთი სივრცე, სადაც შესაძლებელია გარკვეული საკითხების განხილვა და პასუხის მიღება, პასუხის მიღება თუ არა, ყოველ შემთხვევაში, საკითხის დასმა მაინც, მაგრამ არ არის პროცესი და ამის გამოა ქართული მხარე შეშფოთებული.

***— ჟენევის კონსულტაციების გაგრძელება რუსეთის ინტერესებშიც შედის, თუ პირიქით ხელს აძლევს, რომ ჩაიშალოს?***

— ეს მოლაპარაკებები ყველას ინტერესებში შედის. დასავლეთის წარმომადგენლობაც ბევრს ვერაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სიტუაცია უკეთესობისკენ შეცვალოს. არ მინდა ვილაპარაკო იმაზე, რომ ყველა მხარეს აწყობს სტატუს-კვოს შენარჩუნება. ამიტომ მოდით, ასე დავსვათ საკითხი და ვთქვათ, რომ გარკვეული უთანხმოება არსებობს დასავლეთსა და რუსეთს შორის. აქედან გამომდინარე სტაგნაციური პროცესია. ვიმედოვნებ, რომ ეს პროცესი არ შეწყდება.

***— თქვენ ადრე განაცხადეთ, რომ დასავლეთი საქართველოს აფხაზეთის აღიარებას და ევროპასთან მის ინტეგრაციას სთავაზობს, რათა რუსეთთან საბოლოო ინტეგრირებას გადარჩეს და შემდგომ საქართველომ უკვე ევროპის შუამდგომლობით მოახერხოს მასთან დაახლოება. ამჟამად რა ხდება და პერსპექტივა აქვს ამ შემოთავაზებას?***

— ეს ინიციატივა ჟენევის კონსულტაციებში მონაწილე ევროპელი პოლიტიკოსების მხრიდან წამოვიდა. ახლა ბაღაფშის გარდაცვალებამ გარკვეული პროცესები შეაფერხა. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ახალი პრეზიდენტის არჩევის პროცესთან დაკავშირებით დასავლეთი მაინცდამაინც არ აქტიურობს და არ რეაგირებს . მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან დაწვრილებით აკვირდება პრეზიდენტის შეცვლის პროცესს აფხაზეთში და ალბათ გარკვეული წინადადებების პრეზენტირებას მოახდენს. მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვინ იქნება აფხაზეთის პრეზიდენტი იმისთვის, რომ შემდგომი წინადადებების პრეზენტირება მოახდინოს.

***— აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტმა მიმართვა გაავრცელა, სადაც საერთაშორისო დამკვირვებლებს აგვისტოში დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვებას სთხოვს. შესაძლებელაი თუ არა დასავლეთმა, კონკრეტულად კი საერთაშორისო ორგანიზაციებმა აფხაზების ეს წინადადება მიიღონ***

— დამკვირვებლები იქნებიან დასავლეთიდან, მაგრამ დასავლეთს ვგულისხმობ გეოგრაფიულად და არა საერთაშორისო ორგანიზაციებს და სერიოზულ წარმომადგენლობას. შესაძლოა, ძალიან რადიკალური დაჯგუფებების წარმომადგენლები ჩავიდნენ. დასავლეთშიც არის ანგაჟირებული ადამიანების გარკვეული ჯგუფები, რომლებიც რუსეთთან ახლო კონტაქტს უჭერენ მხარს.

***— ევროპისთვის რომელი „საპრეზიდენტო" კანდიდატია უფრო მისაღები?***

— მინიშნებით შემიძლია გითხრათ, რომ მათთვის მისაღები და საინტერესო იქნება, თუ შამბა დარჩება ხელისუფლებაში სერიოზულ თანამდებობაზე. თუმცა ვვარაუდობ რომ დღევანდელი აფხაზური პოლიტიკური სპექტრისთვის მდგომარეობის შესანარჩუნებლად ყველაზე ოპტიმალური გამოსავალია ანქვაბი—შამბას ტანდემი.

**მედიანიუსი**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქართული ლუდი; 2. პარაზიტი მკბენარა მწერი; 3. რაიმე ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მათემატიკურ მოქმედებათა ერთობლიობა; 4. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 5. ცხელი ქარი; 8. უხარისხო მატყლისგან მოთელილი ნაბადი; 9. ფარისეველი, ქლესა, ცბიერი ადამიანი; 12. ლომების ჯოგი; 14. ოპერა „სევილიელი დალაქის" კომპოზიტორი; 16. ფულის ერთეული ჩინეთში.

**თარაზულად:** 1. აეროპორტი ბრიუსელში; 6. ანდალუზიელ ბოშათა ჩქარტემპიანი ცეკვა-სიმღერა; 7. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 9. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. კულინარიასა და მედიცინაში გამოყენებული ორნახშირმჟავა ნატრიუმის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 11. სასუნთქი თამბაქო; 13. გემების სადგომი ნავსადგურში; 15. სხივთმოსილი წმინდა თასი; 17. საკუთარი საქციელის ავკარგიანობის შინაგანი შეფასება; 18. შუადღის დასვენება სადილის შემდეგ ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 19. უძრავი ქონების დროებით დაქირავება, იჯარა; 20. ქალის თმის ერთგვარი ვარცხნილობა.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გრაალი; 2. გაგრა; 3. ფლინტი; 4. კლოუნი; 6. ჰეროინი; 9. ბონდი; 11. მარსელი; 15. რეზიდენტი; 16. ესქილე; 17. იაგდტაში; 19. იაგუარი; 21. კობზარი; 22. ბემოლი.

**თარაზულად:** 5. პრობაცია; 7. ერლიფტი; 8. ქონება; 10. ბორჩალო; 12. ნესვი; 13. ბრასი; 14. ანდერსენი; 18. გესლი; 20. ასკანა; 23. ბერდია; 24. ბარი; 25. ბალეტი; 26. ლოტი; 27. ბრძმედი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯაკუზი; 2. წერო; 3. ანთოლოგია; 4. ვოლგა; 5. პეიზაჟი; 8. შოპენი; 9. კალანდაძე; 12. ბანერი; 14. ნამაზი; 16. ამადუ.

**თარაზულად:** 1. ჯვრისწერა; 6. ანტიგონე; 7. კლოშარი; 9. კრეოლი; 10. ფაზა; 11. ვექსილი; 13. ყანწი; 15. პანიკა; 17. ხაშლამა; 18. ბერეტა; 19. გრიზლი; 20. ლუტეცია.

# ფრანკფურტის ლიტერატურული სალონი თბილისში ჩამოვიდა

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე დარბაზში გერმანიაში მოღვაწე ქართველი მწერლის, დრამატურგისა და რეჟისორის, ახალგაზრდა შემოქმედის, ნინო ხარატიშვილის ლიტერატურული საღამო გაიმართა. მისიპიესები და ინსცენირებები დადგმულია ჰამბურგში, კასელის სახელმწიფო თეატრში, ჰაიდელბერგის თეატრში, ვენაში, თეატრ ლიხტჰოფში, გიოტინგენში. გერმანულ თეატრში, თეატრ კამპნაგელში, ავტორთა ფესტივალზე. რუსთაველის თეატრში დაგეგმილი ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ თბილისის მერია და „ქართული კულტურის ფორუმი" (გერმანია).

მწერალი და დრამატურგი უკვე წლებია გერმანიაში მოღვაწეობს. მისი შემოქმედება არაერთი პრემიით არის აღნიშნული — ნინო ხარატიშვილს მიღებული აქვს ადალბერტ ფონ ჩამისოს პრემია, ჰაიდელბერგის „პიესების მარკეტი" საუკეთესო პიესისათვის, როლფ მარესის პრემია საუკეთესო დადგმისთვის. ქართველ შემოქმედზე წერენ ისეთი გავლენიანი გერმანული გამოცემები, როგორებიცაა „შპიგელი", „ზიუდ დოიჩე", „ფრანკფურტერ რუნდშაუ", „აბენდ ბლატი".

რუსთაველის თეატრში გამართულ საღამოზე მუსიკალურ ნაწილში წარმოდგენილი იყო ია ჩანტლაძის ახალი მუსიკალური პროექტი „აი ია". ასევე რომა რცხილაძის რამდენიმე თემა, ქართული და უცხოური მუსიკალური თემები ახალი ინტერპრეტაციით. საღამოს ფრანკფურტის ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელი პროფესორი მანანა თანდაშვილი უძღვებოდა. ღონისძიების დასასრულს ნინო ხარატიშვილს გადაეცა ინტეგრაციის პრიზი „ევტერპე" — საქართველოს ევროპასთან კულტურული ინტეგრაციის პრიზი, რომელიც 2008 წელს ფრანკფურტის „ქართული კულტურის ფორუმის" მიერ დაარსდა.

# დავით უსუფაშვილი „რვიანთან" დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს

„რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

— დღითიდღე უფრო ცხადი ხდება, რომ სამართლიანი არჩევნებისთვის ბრძოლაში ოპოზიციური „რვიანის" სწორი სტრატეგია და ტაქტიკა ხელისუფლებას დაუძლეველ თავსატეხად ექცა. ამითაა განპირობებული „რვიანის" ბოლო ინიციატივების ფონზე ინსპირირებული საინფორმაციო კამპანია იმის შესახებ, თითქოს „რვიანში" აზრთა დაუძლეველი სხვადასხვაობაა საქმიანობის ფორმებზე თუ შესაძლო პარტნიორებზე. სახელისუფლებო პროპაგანდისტებისა და მათი უნებლიე ხელშემწყობების გასაგონად კიდევ ერთხელ მკაფიოდ მინდა განვმარტო, რომ რვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტია ვიყავით და ვრჩებით საარჩევნო გარემოს საკითხებზე ერთიანი პოზიციების მქონე მხარედ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში. ამასთანავე, ჩვენ არ გამოგვიცხადებია, რომ ვართ ერთ ხმაში მოლაპარაკე ერთი პოლიტიკური სუბიექტი ყველა სხვა საკითხზეც, — ნათქვამია უსუფაშვილის განცხადებაში.

აქვე აღნიშნულია, რომ რვა პოლიტიკური პარტია არის კვალიფიციურ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის საარჩევნო საკითხებზე მიმდინარე მოლაპარაკებების ფორმატში არსებული გაერთიანება და, შესაბამისად, შეუძლებელია ამ ფორმატში არ მონაწილე პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების თუ კერძო პირების შემოერთება.

— ჩვენ არაერთხელ გამოვთქვით და საზოგადოების წარმომადგენლებთან 7 ივნისის შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დავადასტურეთ ჩვენი მზადყოფნა და დაინტერესება უფრო ეფექტიან თანამშრომლობაზე სამოქალაქო მოძრაობის ფარგლებში ყველასთან, ვინც ცალსახად და უპირობოდ თვლის, რომ ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა მთელი ჩვენი ძალების და ენერგიის მობილიზება სამართლიანი არჩევნების მოსაპოვებლად. „რვიანის" დანარჩენი წევრები თავის დროზე გაგებით მოვეკიდეთ „ეროვნული ფორუმის" გადაწყვეტილებას მოლაპარაკების უშუალო პროცესში არ ჩართვის თაობაზე. ჩვენ ასევე გაგებით ვეპყრობით „ახალი მემარჯვენეების" პოზიციას ქუჩის აქციებთან დაკაშირებით. მით უმეტეს, არავინ ვფიქრობთ იმას, რომ ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა რაიმე უკეთ ორგანიზებული აქციით მიიღწევა. ჩვენ მომავალშიც ასევე გაგებით მოვეკიდებით „რვიანში" შემავალი ყოველი პარტიის გადაწყვეტილებას ამა თუ იმ კონკრეტულ საქმიანობაში მისი მონაწილეობის ფორმისა და ინტენსივობის თაობაზე, — აცხადებს დავით უსუფაშვილი. **ინტერპრესნიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები



შვილები ქეთევან და ლევან გიორგაძეები, შვილიშვილები სოფიკო, სანდრო, ირაკლი, ვიკა გიორგაძეები, დისშვილები ზურაბ და მედეა ჩუბინიძეები, ძმისშვილი ელზა გაბაშვილი ოჯახებით, სიძე ლევან ჟვანია, შვილთაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან

**თამარ გაბაშვილის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 10, 11 ივნისს, 17 საათზე;

დაკრძალვა: 12 ივნისს, 14 საათზე;

მისამართი: გერგეთის №10 (სოლოლაკი).

გურამ ლიპარტელიანი, ვახტანგ ლატარია, ზურაბ ბუკია, გოჩა შველიძე, ჯუმბერ ფერაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან და სამძიმარს უცხადებენ ბატონ გურამ კაციტაძეს ძვირფასი მეუღლის, შესანიშნავი პიროვნების, ქალბატონი

**ალა კაციტაძის**

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# თბილისში ჰოლანდიური ანიმაციის ფესტივალი ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

10-დან 20 ივნისის ჩათვლით თბილისში ჰოლანდიური ანიმაციის ფესტივალი გაიმართება. როგორც შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ჯაბა სიხარულიძემ განაცხადა, თბილისი დახვეწილი დასავლური სანახაობის მასპინძელი გახდება. თბილისელებისთვის შეთავაზებული იქნება პროექტი — „გერიტ ვან დაიკი: რე-ანიმაცია დასავლურად".

— თბილისში მოეწყობა სახელგანთქმული ჰოლანდიელი ხელოვანის გერიტ ვან დაიკის ანიმაციური ფილმების და გრაფიკული ნამუშევრების დიდი არჩევანი და შთამაგონებელი მასტერ-კლასები ანიმაციაში. ფესტივალი იბერია 2011 საქართველოსა და ნიდერლანდების შესახებ მომზადდა: რა საერთო აქვს ამ ორ ქვეყანას, რისი გაზიარება და ჩვენება შეუძლიათ ერთმანეთისთვის. ფესტივალი „იბერია" თვით კულტურაა, რომელიც მოგზაურობს, სხვადსხვა ადგილებსა და ხალხებს სტუმრობს და მათთან ავთენტურობა, მშვენიერება და ნათელი ემოციები მიაქვს. გერიტ ვან დაიკის შემოქმედება სავსეა ალუზიებით, ციტატებით და შენიშვნებით. ის წარმოადგენს მე-20 და მე-19 საუკუნეების ხელოვნების სურნელსა და სურათებს. მისი ნამუშევრები არის როგორც ორიგინალური, ასევე ხელმეორედ შექმნილი სახეები, გონების ირონიული და ოსტატური თამაშები, რომლებიც მნახველს საზრიანობისკენ, აღმოჩენებისკენ და ინტერპრეტაციებისკენ უბიძგებს. ფესტივალის პროგრამა გულისხმობს ნაცნობი ნივთების როგორც დათვალიერებას, ასევე განსხვავებულ კონტექსტში გადათვალიერებას, გაგებას და აღმოჩენას, განცვიფრებას და ხელახლა გააზრებას, გაღიმებას, ამოოხვრასა და სიცილს. ფესტივალი „იბერია" 2011 ყველანაირი გემოვნების დამთვალიერებელს სთავაზობთ ანიმაციას, რეანიმაციას, ემოციებსა და უამრავ მასალას განსჯისათვის. თბილისში ფესტივალ „იბერიის" ორგანიზებით, მის უშუალო მონაწილეებთან ერთად ჩამოდის ჰოლანდიელი ჟურნალისტების ჯგუფი — ნიდერლანდების სამეფოს წამყვანი ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ ფესტივალის გარდა, სპეციალურ რეპორტაჟებს მოამზადებენ საქართველოს ღირსშესანიშნაობაზე, ტურისტულ პოტენციალზე, რაც საქართველოს შესახებ დასავლეთევროპელი საზოგადოებისათვის მომზადებული კიდევ ერთი რეკლამა იქნება, — განმარტა ჯაბა სიხარულიძემ.

გასულ წელს ფესტივალმა „იბერიამ" ჰოლანდიის ქალაქი ლეიდენი ქართული ხმებით, ფერებითა და გემოვნებით აავსო. ამჯერად კი, პუბლიკის წინაშეა შთამბეჭდავი სურათებით და ისტორიებით სავსე, გულში ჩამწვდომი 10-დღიანი ჰოლანდიური თავგადასავალი. ფონდი „არტექო" ნიდერლანდების ფილმების ეროვნულ ფონდთან, საქართველოში ნიდერლანდების საელჩოსთან, კინოთეატრ „ამირანთან" და საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანმშრომლობით ღირშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს — წინა პლანზე წამოსწევს ანიმაციისა და გრაფიკის თანამედროვე ჰოლანდიური ხელოვნების სახლს.

— კონცეპტუალური და მოდერნისტული ჰოლანდიური ანიმაცია და გრაფიკა ათეული წლებია ევროპული საზოგადოების გონებასა და სულებს ათრთოლებს. ამჯერად, ქართველ საზოგადოებას ეძლევა უნიკალური შანსი, აღმოაჩინოს ეს ამაღელვებელი ახალი სამყარო, სადაც მას მეგზურობას გაუწევს ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი და კონცეპტუალური ბრწყინვალე ჰოლანდიელი ხელოვანი გერიტ ვან დაიკი. იგი არის მრავალი ფესტივალისა და კონკურსის გამარჯვებული, სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის წევრი, ჰოლანდიის ანიმაციური ფილმების ფესტივალის და ჰოლანდიის ანიმაციური ფილმების ინსტიტუტის დამაარსებელი, ტილბურგის ხელოვნების აკადემიის ანიმაციის პროფესორი, ნიდერლანდების ლომის რაინდთა ორდენის კავალერი. ეს არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია როგორც სურათების ანიმაცია, ისე სულების რეანიმაცია. არავითარი სასწაული! მხოლოდ სასწაულებრივი ოსტატობა და ნიჭი, რომელსაც შეგიძლიათ გაეცნოთ ამ ფესტივალის ფარგლებში, — განაცხადა ჯაბა სიხარულიძემ.

გერიტ ვან დაიკის ანიმაციური ფილმების რესტოსპექტიული ჩვენება 10 ივნისს კინოთეატრ „ამირანში" გაიმართება, მისი გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა „აქ იყო მიკი მაუსი" 10-დან 20 ივნისის ჩათვლით კინოთეატრ ამირანის საგამოფენო დარბაზს დაიკავებს. აქვე შედგება პრეზენტაცია პროექტისა „აქ იყო გერიტ ვან დაიკი". ფესტივალის დასასრულს კი 20 ივნისს წარმოდგენილი იქნება გერიტ ვან დაიკის ანიმაციური მასტერ-კლასის შედეგი — ჰოლანდიურ-ქართული ერთობლივი ანიმაციური ფილმი.

# ევროპარლამენტმა რუსეთს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ჯარის გაყვანისკენ მოუწოდა

გუშინ ევროპარლამენტმა ხმათა უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია რუსეთ-ევროკავშირის სამიტის თაობაზე, რომელშიც სხვა თემებთან ერთად ყურადღება გამახვილებულია საქართველოს საკითხზეც. კერძოდ, როგორც „მედიანიუსს" საქართველოს საგარეო უწყებიდან აცნობეს, რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და ეთნიკური წმენდის დროიდან თითქმის სამი წლის შემდეგ, რუსეთი კვლავ არ ასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას და არ აძლევს საშუალებას ევროკავშირის მონიტორინგის მისიას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შეასრულოს თავისი საქმიანობა.

აღნიშნული რეზოლუციით ევროპარლამენტი მოუწოდებს რუსეთს, შეასრულოს მის მიერ ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6-პუნქტიანი შეთანხმებით აღებული ყველა ვალდებულება, დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან და დააბრუნოს ისინი კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე; ასევე, უზრუნველყოს ევროკავშირის მონიტორინგის მისიის დაშვება ამ ტერიტორიებზე".

გარდა ამისა, ევროპარლამენტი, მოუწოდებს ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელსა და ევროკომისიას დაარწუნონ რუსეთი, შეწყვიტოს რუსული პასპორტების გაცემა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირებული რეგიონების მაცხოვრებლებზე".

— აღნიშნული რეზოლუცია კიდევ ერთი დასტურია საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი საერთაშორისო თანამეგობრობის მტკიცე მხარდაჭერისა. ამასთან, ქართული მხარე მიესალმება ევროპარლამენტის მხრიდან რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის ფაქტის კიდევ ერთხელ ასახვას და მკაფიო მოწოდებას რუსეთის მისამართით, შეასრულოს მის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებები, — აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. **მედიანიუსი**

# დავით ონოფრიშვილი ვაშინგტონში კარნეგის ცენტრში სიტყვით გამოვიდა

„თავისუფალი დემოკრატების" ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი დღეს ვაშინგტონში კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ცენტრში სიტყვით გამოვიდა.

მან საქართველოს ეკონომიკის და პოლტიკის მიმდინარე გამოწვევებზე ისაუბრა. მოხსენებას დაესწრენ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის, ფინანსთა სამინისტროს, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლები, ასევე აშშ-ს ყოფილი ელჩები საქართველოში რიჩარდ მაილსი და ბილ კორტნი.

ეკონომიკური პრობლემატიკის გარდა საუბარი შეეხო საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მიმდინარე მოლაპარაკებებს. მსმენელთა განსაკუთრებული შეშფოთება და შეკითხვები გამოიწვია 26 მაისის ტრაგიკულმა მოვლენებმა, რომელიც ადამიანთა მსხვერპლით დასრულდა, — აცნობეს „მედიანიუსს" „თავისუფალი დემოკრატებიდან". **მედიანიუსი**

# ჩინეთსა და საქართველოს შორის პირველი პირდაპირი ავიარეისი შესრულდა

საქართველოსა და ჩინეთს შორის პირველი პირდაპირი ავიარეისი შესრულდა. პეკინიდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაშვებულმა ლაინერმა ჩინეთის ოფიციალური დელეგაცია ჩამოიყვანა. დელეგაციას სინძიანუიღურეთის ავტონომიური რეგიონის სახალხო კონგრესის თავმჯდომარე აილიგენ იუმინიგბაჰაი ხელმძღვანელობს. დელეგაციას აეროპორტში საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია დახვდა.

მისი განცხადებით, ორ ქვეყანას შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დაწყება ბოლო პერიოდში გადადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია მათი ბიზნესმენების დასააახლოებლად, საქართველოში მეტი ჩინური ინვესტიციის მოსაზიდად და ტურიზმის განვითარებისათვის. როგორც ცნობილია, ჩინეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი რეგულარული ავიარეისი ურუმჩი-თბილისი-ურუმჩი კვირაში სამჯერ შესრულდება. ჩინეთის ოფიციალური დელეგაცია კი საქართველოს 11 ივნისს დატოვებს. **მედიანიუსი**

# TV პროგრამა

**პარასკევი 10 ივნისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ. ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძეთან **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** **ჭიდაობა**. ბალავაძე -კარტოზიას საერთ. ტურნირი. ფინალები **19.05** დოკ.ფ."იმპერიის მშენებლობა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00, 02.20** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** წითელი ზონა **00.00** მხ. ფილმი **"ჩარულოტა"** **03.20** მოამბე **03.40** მხ. ფილმი **"სარკეს ორი მხარე აქვს"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ. ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **19.00** დოკ. ფილმი "ძველი საბერძნეთის გმირები" **20.00** მხ. ფ.**"ზოროს ნიღაბი"** **01.00** მხ. ფილმი **"დიდი ღამე"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** პროფილი **18.45** სერ. **"ავრორა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ.**"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** ღამის შოუ **00.00** **შეგირდი** **00.30** მუსიკალური ლიგა (გან.) **01.45** ფლეიბოი იმედზე **02.15** მხ. ფ.**"როგორ მოვიპაროთ მილიონი"** (ო. ჰეპბერნი) **04.35** მხ. ფილმი **"ტალადეგას ღამეები"** (გ. კოული) (სუბტ.) **07.15** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.20** ფარული კამერა **16.10** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **21.00** **105** წუთი **22.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამორჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"მამები"** **12.50, 19.30** სერ. **"უკვალოდ"** **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "ფალავნები" **11.00** ჟურნალისტის დღიური **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფ.**"ხათანგი"** **1**-ლი ს. **13.30** კონცერტი — ქართული საგალობლების საღამო **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფ. **"ჩრდილი გზაზე"** **16.50** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.20** მოგაზურობა ბარტ ვულფთან ერთად **17.45** მულტსერ. "მოგზაურობა ისტორიაში" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ. ფ. **"ხაფანგი"** მე-**2**ს. **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ფალავნები" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

**10 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6583
ევრო —2,4216
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
რუსული რუბლი — 0,0597

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-27, ღამით — 14-16
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა ტემპერატურა დღისით — 25-27, ღამით — 16-17
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, მზე, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-24, ღამით — 6-14

ამინდის პროგნოზი 10 ივნისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## ანამ ანას ვერ გაუძლო

ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან, აწ კი ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის რეიტინგში მე-19 ადგილზე მყოფ სერბ ანა ივანოვიჩს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და უშანსოდ დამარცხდა — 1:6, 0:6.ტატიშვილისა და ივანოვიჩის მატჩი ნოტინგემში, 220-ათასიანი ტურნირის მეორე რაუნდში გაიმართა და მისი მოგების შემთხვევაში, ქართველი გოგონა ოცდაათ სარეიტინგო ქულას მიიღებდა და შემდეგ ეტაპზეც გააგრძელებდა ბრძოლას, მაგრამ მხოლოდ თხუთმეტ ქულას დასჯერდა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენებურმა მეტოქეს პირველივე მოწოდება აართვა და ნოტინგემის ცენტრალურ კორტზე სენსაციის სუნი დატრიალდა, მაგრამ ეს მხოლოდ წამები გაგრძელდა. შემდეგ კორტზე მხოლოდ ერთი ჩოგბურთელი იყო — ივანოვიჩი, რომელმაც ზედიზედ 12 გეიმი მოიგო და თითოეული სეტის მოგებას 22 წუთზე მეტი არ მოანდომა.

მიუხედავად მარცხისა, ქართველი ჩოგბურთელი ნოტინგემში რჩება და ხვალ წყვილთა გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩს ჩაატარებს. შეგახსენებთ, რომ ტატიშვილი ბრიტანულ ტურნირზე ტაილანდელ ლერტჩეევაკარნისთან გახლავთ შეამხანაგებული.

ერთეულებში გამოსვლისთვის ჩვენებურმა 15 სარეიტინგო ქულა და 1,3 ათასი დოლარი მიიღო. შეგახსენებთ, რომ ტატიშვილი უიმბლდონის ტურნირზე ძირითად ბადეში იასპარეზებს, ეს კი მის კარიერაში პირველად მოხდება. **მ. ჟ.**



## კახი კავსაძე მიცვალებულის პოზიციაში აღმოჩნდა

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრის მსახიობზე კახი კავსაძეზე წიგნი დაწერეს. ამასთან დაკავშირებით მსახიობმა განაცხადა, რომ იგი მიცვალებულის პოზიციაში აღმოჩნდა, რადგან, როგორც მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს, ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიცო.



რუსთაველის თეატრში შეკრებილმა საზოგადოებამ წიგნი „სახალხო არტისტი", რომელიც მთლიანად კახი კავსაძეს მიეძღვნა, დადებითად შეაფასა. წიგნის წარდგენამდე კი რეჟისორმა ნანა ჯანელიძემ საზოგადოებას კახი კავსაძეზე გადაღებული ფილმი „ნეტავ, იქ თეატრი არის?" შესთავაზა.

ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები მსახიობს ძალიან აღელვებს და ორმაგ პასუხისმგებლობას ანიჭებს. ნანა ჯანელიძის ფილმსა და ახალ წიგნშიც კახი კავსაძე თავად ყვება თავის ისტორიას. წიგნის ავტორები რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი და ხათუნა კიკვიძე არიან. „სახალხო არტისტის" სერიით ეს უკვე მეორე გამოცემაა. პირველი გამოცემის ავტორიც დიმიტრი ხვთისიაშვილი იყო და ის კახი კავსაძის განუყრელ მეგობარს, გივი


გაგრძელება მე-8 გვერდზე



# 30 მაისიდან

# იყიდება

**100 წიგნი**

## „ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 6**

# რიშელიე

**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**


## ასტროპროგნოზი 10 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** — მშვენიერი დღეა, ყველა საქმე გამოგივათ. **ქალწული** — ახალი საქმე გაამართლებს. **სასწორი** — იყავით თვითკრიტიკული, თორემ სხვები გაგაკრიტიკებენ. **ღრიანკალი** — წარსულიდან ვილაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მშვილდოსანი** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** — კარგ ფორმაში ხართ, ყველას თვალში ხვდებით. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, წინ წახვალთ. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კურორტი, ნავსადგური საქართველოში; 2. საბერძნეთის კუნძული ეგეოსის ზღვაში; 3. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამა; 5. რკინის მადნიდან გამოდნობილი, ნახშირბადის შემცველი ლითონი; 6. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 8. ქართველი თეატრალური რეჟისორი ქალი; 11. დოღი გრძელ დისტანციაზე, დაბრკოლებათა გადალახვით; 13. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ძველბერძენი ფილოსოფოსი; 15. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 19. ინგლისელი მწერალი, „რობიზონ კრუზოს" ავტორი.

**თარაზულად:** 1. მთებში სამაშველო საქმიანობისთვის გამოყენებული დიდი ტანის მქონე ძაღლის ჯიში; 4. ხორბლის ქართული ჯიში; 7. რბილი, გლუვი ხაოს მქონე აბრეშუმის ქსოვილი; 9. ქართული ჟურნალი; 10. ღამის დარაჯის ძველებური სახელწოდება; 12. ბერძნული ფილოლოგიის მკვლევარი სპეციალისტი; 16. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე; 17. თურქეთის პარლამენტი; 18. გასართობი თავსატეხი; 20. სტიბიუმის საბადო რაჭაში; 21. ციტრუსოვანი მცენარე; 22. ფრანგული საავტომობილო ფირმა.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი